საქართველოს სოციალ-დემოკრატიული მუშათა პარტია

პროლეტარებო ყველა ქვეყნისა შეერთდით!

# ერთობა

შაბათი 19 ივნისი 1920 წ.

ფასი 5 მანეთი

გაზეთი ღირს თვეში 125 მანეთი. ცალკე ნომერი ყველგან 5 მანეთი განცხადების ფასი პირველ გვერდზე პეტიტის სტრიქონი 10 მანეთი, მეოთხე გვერდზე 6 მანეთი. სამგლოვიარო განცხადება ჩვეულებრივი ზომის (15—2) 200 მანეთი. ნისიათ განცხადება არ დაიბეჭდება. რედაქცია და კანტორა იმყოფება: ერთობის ქ. № 4. შესახვევი რუსთაველის ქუჩის № 18-თან. ტელეფონი 16—62.

№ 136 ორგანო საქართველოს სოციალ-დემოკრატიულ მუშათა პარტიის ცენტრალური კომიტეტისა. № 136

## საქართველოს სოც.-დემ მუშათა პარტიის ცენტრალური კომიტეტი

მოთავსებულია ერთობის № 4, მესამე სართული, შესახვევი. რუსთაველის ქუჩიდან № 18, ტელ. 11-79

---

ღრმად დამწუხრებულნი მშობლები: ნინო და ალექსი ხუბუტიები შვილებით ხუტუ და დულათი და დეიდა ციცინო ალშიბაია გულითადი მწუხარებით აუწყებენ ნათესავებს და ნაცნობებს, რომ გადახდილი იქნება ორმოცი დღის წირვა და პანაშვიდი ადერბეიჯანის ფრონტზე მტრის მიერ განგმირულ

**პლატონი ალექსის ძე ხუბუტიას**

სულის მოსახსენებლათ სენაკის ძმათა სასაფლაოზე 19 ივნისს.

(1926 3—3)

---

სამეგრელოს სახალხო გვარდიის საოლქო შტაბი ამით აუწყებს ამხანაგებს, ნაცნობებს და ნათესავებს, რომ კვირას, 20 ივნისს, დილის 10 საათზე ქ. ახალ-სენაკში ძმათა სასაფლაოზე გადახდილი იქნება სამოქალაქო პანაშვიდი, 12 და 13 მაისს აზერბეიჯანის ფრონტზე ბრძოლაში გმირულად დაცემულ გვარდიის ოფიცერი

**გრიგოლ (ქოცო) გუგუშვილის**

გვარდიელ

**პლატონ ხუბუტიას და ვალერიან გოგოლაძის**

გარდაცვალებიდან ორმოცი დღის შესრულების გამო. (ფ. 2—2)

---

ღრმად დამწუხრებულნი: მეუღლე ნინო, შვილები: გრიგორი, ნიკოლოზი, ვასილი, ოლღა, სოფიო და თამარი, სიძეები: აკაკი ჰანტურია ივანე იმერლიშვილი და გიორგი გულისაშვილი, რძლები: ბარბარე, ელენე და ბარბარე, შვილიშვილები: ელიკო და ნინო, ძმები: მიხეილი და კალენიკე, და მარიამ ფერაძისა, აუწყებენ ნათესავთ და ნაცნობთ გარდაცვალებას ძვირფასი დეკ.

**კორნილე პეტრეს ძე ელიზბარაშვილისას**

რომლის დაკრძალვა მოხდება ქ. თელავში შაბათს, 19 ივნისს. პანაშვიდი ყოველ დღე ქ. თელავში საღამოთი და დილით. (1937 2—2)

---

გაუბედურებული დედა, ძმები და დები აუწყებენ ნათესავთ და ნაცნობ-მეგობართ, რომ კვირას, 20 ივნისს, დიდუბის ეკლესიაში გადახდილი იქნება ორი წლის წირვა და პანაშვიდი მათთვის ძვირფას და დაუვიწყარ

**ვლადიმერ პავლეს ძე გოგეჩიას**

სულის მოსახსენებლად. პანაშვიდი დაიწყება დილის 12 საათზე.

(1913 2—2)

---

გულ დათუთქულნი: ცოლი ნინა (ძაძუ), შვილი ლილი, მამა გედევან და ძმა სილიბისტრო ლაბაძეები ამით აუწყებენ ნათესავებს, ნაცნობებს და მეგობრებს, რომ კვირას, 20 ივნისს სოფ. ნიგოზეთის ქვაშვეთის ეკლესიაში გადახდილი იქნება ორმოცი დღის წირვა და პანაშვიდი მათთვის დაუვიწყარი სახალხო გვარდიის საგანგებო ბატალიონის უფროსი ოფიცრის შტაბს-კაპიტან

**ბარნაბა გედევანის ძე ლაბაძის**

რომელიც გმირულათ დაიღუპა 12 მაისს ადერბეიჯანის ფრონტზე, წითელ ხიდთან. (1956 1—1)

---

უზომოთ დამწუხრებული მამა ასალო; ძმები დიომიდე და ანტონ; დები მარო და მატრონე; რძლები ეკა და კასინე; სიძეები **მაკარი გოგუაძე** და სარდიონ ღლონტი; ბიძა გიორგი ბაბილოძე, ბიცოლა მაკრინე; დეიდები ეფროსინე და ეგვიტი გულითადის მწუხარებით აუწყებენ ნათესავთა და ნაცნობთ

**თეოფილე ასალოს ძე მსხალაძის**

უდროოთ გარდაცვალებას. დაკრძალვა მოხდება კვირას, 20 ივნისს, სოფელ მაქვანეთში. (უ. 2—1)

---

ღრმად დამწუხრებულნი მშობლები მაშო და მელენტი და ტერეზა ქანთარიები გულითადი მწუხარებით აუწყებენ ნათესავებს, რომ გადახდილი იქნება ორმოცი დღის წირვა და პანაშვიდი უდროვოთ დაღუპულ უფროსი შვილის

**ქსენია მელენტის ასული ქანთარიას**

სულის მოსაგხენებლათ ქ. ლანჩხუთში 20 ივნისს. (1958 1—1)

---

ღრმათ დამწუხრებული მეუღლე სოფიო შვილებით ვახტანგი და თამარა, მამა ივანე, დედა დარო, ძმა ლადო, და ნინო, ბიძა ისაკო, ბიცოლა აგრაფინე, ბიძაშვილი თამარა ალხანიშვილები აუწყებენ ნათესავებს და ნაცნობთ მათთვის ძვირფას და დაუვიწყარ

**პეტრე ივანეს ძე ალხანიშვილის**

წლის წირვას და პანაშვიდს მის სულის მოსახსენებლათ კვირას, 20 თიბათვეს კუკიის წმინდა ნინოს ტაძარში. წირვა 10 ს. პანაშვიდი 12 საათზე. (1927 1—1)

---

ნინა ივანეს ასული ქმრით ალექსანდრე ივანეს ძით და შვილით, იუნკრით ივანეთი, გულითადის მწუხარებით აუწყებენ ნათესავთა, მეგობართა და ნაცნობთ, რომ კვირას 20 ივნისს ვერის იოანე ღვთის მეტყველის ეკლესიაში გადახდილი იქნება პანაშვიდი ტრაღიკულად გარდაცვალებულის პირველთა შვილის, ხოლო მეორესი ძმის, იუნკრის

**გრიგოლ ალექსანდრეს ძე ბარნაბიშვილის**

სულის მოსახსენებლად. წირვის დასაწყისი დილის 10 საათზე, ხოლო პანაშვიდისა დღის 12 საათზე. (1959 1—1)

---

## მეაბრეშუმეთა საყურადღებოთ

თანახმად მთავრობის დადგენილებისა მომარაგების სამინისტრო ერობათა, კოოპერატივთა და კერძო სავაჭროების საშუალებით შეუდგა ნედლი პარკის დაგროვება შესყიდვას შემდეგ პირობებში: ნედლი პარკის მოსავლის ჩაბარება გასყიდვის დროს მეაბრეშუმე იღებს ადგილობრივ ბაზრის ფასს და როცა მთავრობა ხმელ პარკს გაასაღებს უცხოეთში, მეაბრეშუმეს მიეცემა კიდევ ზედმეტ ფასად 30 პროცენტი წმიდა მოგებისა, პარკის შესყიდვა-მიღება მოწყობილი იქნება ქ. თფილისში (სააბრეშუმო სადგური), თელავში, ქუთაისში, ხონში, სამტრედიაში, ლანჩხუთ-ჭაგანში, ამაღლება-ვანში, საჯევახოში, ლანჩხუთში. ნატანებში, ოზურგეთში, ჩოხატაურში, აბაშაში, ახალსენაკში, ბანძაში, ხობში, ზუგდიდში, წალენჯიხაში, გალში, ოჩემჩირში, სოხუმში, ზესტაფონში, უწერაში, ცაგერში და სხვ. უფრო დაწვრილებითი ცნობების მიღება შეიძლება მთავარ რწმუნებული ი. ქუთათელაძისაგან ქ. თფილისის და ქუთაისის სააბრეშუმო სადგურეში. (ნ. 15—5)

---

ღრმათ დამწუხრებული მამა ალექსი გიტოს ძე შავიშვილი, შვილებით და სიძეებით გულითადი მწუხარებით აუწყებენ ნათესავებს, ნაცნობებს და მეგობრებს, რომ გადახდილი იქნება ორმოცი დღის წირვა და პანაშვიდი ადერბეიჯანის ფრონტზე მტრის ტყვიით განგმირულ სახ. ხვარდიელი

**გერმანე ალექსის ძე შავიშვილის**

სულის მოსახსენებლათ, ზედა უჩხობის წე. იოანე ნათლისმცემლის ეკლესიაში (გურიაში) შაბათს 19 ივნისს ახალი სტილით.

(1968 1—1)

---

საზაფხულო სეზონი

## მუშათა ცენტრალური კლუბი

(პლეხანოვის პრ., № 123) **შაბათს, 19 ივნისს** კლუბი გადადის ბაღში, სადაც

გაიმართება დიდი

## სეირნობა

ლატარია-ალეგრით და სხვა მრავალი გასართობები. აგრეთვე გაიმართება წარმოდგენა-კონცერტით—რომელშიაც მონაწილეობენ: **ბ. მეზენცევი, ვ. ნიკოლსკი, დები თარხნიშვილები, ი, ზარდალიშვილი და ბ. პროზოროვსკი.**

საღამო გასტანს ღამის 3 საათამდის. სეირნობა დაიწყება საღამოს 7 საათზე.

(ნ. 1—1)

---

## „ეშმაკის მათრახი“ № 30

გამოვა დღეს. ჟურნალ ში მოთავსებულია: სოვეტნიკები—ეშმაკისა, იმპერიალიზმი—მორიელისა, **ლექსები**—შექანჯალებულისა და სხვ.

**კარიკატურები**: ოცნება და სინამდვილე; ადერბეიჯანის წურბლებს, საბჭოთა შაქარი, ჩვენი დროის მილიონერები, დამფუძნებელი კრება და სხვ.

---

## 24 ივნისს ა. წ. დილის 10 საათზე ქ. სიღნაღში ახალ კლუბის დარბაზში დანიშნულია ჩვეულებრივი წლიური საზოგადო კრება სიღნაღის კოოპერატივთა კავშირისა.

თუ დანიშნულ დღეს წარმომადგენელთა საკმაო რიცხვი არ დაესწრო, მეორე კრება მოხდება 5 მკათათვეს 1920 წ.

განსახილველია შემდეგი საკითხები:

1) მოხსენება 1919 წ. მოქმედების შესახებ.
2) მოგების განაწილება.
3) სასურსათო ოპერაციები.
4) წარმოება.
5) ნდობის გახსნა კავშირისათვის.
6) რწმუნებულების ამორჩევა ცენტ. კოოპერატივთა კავშირის წლიურ კრებაზედ დასასწრებლად.
7) ხარჯთ-აღრიცხვა 1920 წ.
8) მიმდინარე საკითხები.
9) არჩევნები ერთი გამგეობის წევრისა და ორი საბჭოს წევრის. გამგეობა.

(1955—1—1)

---

## საქართველოს სატრანსპორტო საზოგადოების გამგეობა

ამით აცხადებს საყოველთაოდ, რომ მის მიერ გახსნილია

## ავტომობილებით მიმოსვლა

თფილისიდან—კოჯორ-მანგლისამდე კვირაში სამჯერ: სამშაბათობით, ხუთშაბათობით და კვირაობით.

ავტომობილები გადიან თავისუფლების მოედნიდან (ქალაქის თვითმმართველობის გვერდზე) დილის 7 საათზე. ფასი თითო სულზე კოჯორამდე 345 მან., მანგლისამდე—1430 მან.

ცნობების მიღება შეიძლება საზოგადოების სატრანსპორტო განყოფილებაში (რესპუბლიკის ქუჩა № 8) ყოველ დღე დილის 8 საათიდან—2 საათამდე.

ახლო მომავალში გაიხსნება პირდაპირი ყოველდღიური მიმოსვლა თფილისიდან კოჯორამდე. (ნ. 2—1)

---

## განცხადება
## შრომის სამინისტროს სოციალურ დახმარებისა

ყველა იმ პირთ, რომელთაც წარმოდგენილი აქვთ თხოვნები სოციალურ დახმარებისათვის, უსათუოდ უნდა წარმოადგინონ მოწმობა სიღარიბისა და ნამსახურობის შესახებ.

**შრომის სამინისტრო.** (ნ. 5—5)

---

## კიდევ ბოლშევიკებზე

ნათქვამია: „მყეფარა ძაღლი სჯობია შემპარავსო“. მაგრამ ამ ბოლო დროს გაჩნდნენ ისეთი ჯიშის ადამიანები, რომელნიც მყეფარობასაც იჩენენ და შემპარავობასაც. ესე იგი ამ პატივცემული ცხოველის ორივე ნაკლულევანებით არიან შემკობილნი.

ესენი გახლავან ადგილობრივი ბოლშევიკები. მათ უკვე განაცხადეს, რომ აღიარებენ საქართველოს დამოუკიდებლობას და მის შინაურ საქმეებში გარეშე ძალის ჩაურევლობას.

მაგრამ ეს აღიარეს სიტყვით, პრესის საშუალებით. ეს გახდა მათი სათვალთმაქცო საყეფარი. ნამდვილათ, არსებითად კი, მთელი თავის საქმიანობა მიმართული აქვთ იქითკენ, რომ დაამხონ ის რესპუბლიკა, რომელსაც სიტყვით მაინც ერთგულებას ეფიცებიან.

ჩვენ ეს არ გვიკვირს, რადგან ვიცით, რომ „კუზიანს მხოლოდ სამარე გაასწორებს“. ვიცით, რომ გუშინდელი შეამბოხენი, შეთქმულნი, არევ-დარევის მოციქულნი, დღეს ასე სწრაფათ ვერ ჩადგებიან ისეთ კალაპოტში, რომელშიაც ჩადგომას გვეფიცებიან.

ისინი ისევ განაგრძობენ ერთი მხრით აჯანყებების გამართლებას საქართველოს წინააღმდეგ, მეორე მხრით ამ აჯანყებების ხელის შეწყობას, შიგნიდან და რაც უმთავრესია, **გარედანაც**.

ჩვენ ხაზს ვუსვამთ ამ უკანასკნელ გარემოებას, რადგან სწორეთ ეს არის ყველაზე უფრო დამახასიათებელი იმ უპირულობის და მუხანათობის, რომელსაც იჩენენ კომუნისტები.

საქართველოს დემოკრატიას არაფერი არ აქვს სადაო რუსეთის დემოკრატიასთან. განსაკუთრებით მას შემდეგ, რაც გამოყოფისა და გამიჯვნის საკითხი უდავიდარაბოთ დათავდა და თვითეულ მათგანს საშუალება მიეცა ერთი მეორის გვერდით თავის საკუთარი მეთოდებით და საშუალებებით გასწიოს იმ მომავლისაკენ, რომელსაც შეხარის.

მიახწევენ, თუ ვერა ბოლშევიკები თავის კომუნისტურ ექსპერიმენტებით საწადელ მიზანს, ეს სხვა საკითხია. მათ გონიათ, რომ სანახევროთ უკვე მიაღწიეს კიდეც. ჩვენ ვამტკიცებთ, რომ მთელი საუკუნით უკან ჩამორჩენ ამ მიზნისაგან.

მსაჯული ჩვენი სიმართლე-სიმტყუვნის, ისტორიაა. ჩვენ სრულის სიმშვიდით მოველით ამ განაჩენს. გვრწამს, რომ იგი ჩვენი სიმართლის დამოწმება იქნება.

მაგრამ ეს არ სწამთ, როგორც სჩანს, ბოლშევიკებს. მათი სული მოუთმენლათ ბორგავს, რაც გვერდით, სხვა მეთოდებით და სხვა მსოფლმხედველობით მიმავალ მუშათა კლასს ხედავენ, რომელიც თავის თავს მათზე უკეთ უძლვება და აოხრების საშინელებისაგან თავდახწეული ენერგიული შემოქმედებითი მუშაობით სჭედს თავის მომავლის სანეტარო ბედს.

ამიტომ ისინი დაუყონებლივ ეყრდნობიან „შემპარავის“ მეთოდებს. ლეგალიზაციაც კი უნდათ ამბოხების უკეთ მოსაწყობათ გამოიყენონ.

მთელი მათი ფარული აგიტაცია, რომელზედაც ხელისაღება მათი სიკვდილი იქნებოდა, ჩვენი რესპუბლიკის და მისი მთავრობის წინააღმდეგ არის მიმართული. ამ აგიტაციის და ორგანიზაციის მოსაწყობათ არ ერიდებიან არც უსაშინელეს პროვოკაციას, არც უცხოეთიდან შემოტანილ ფულებს. ისინი ამით აშკარათ გვევლინებიან საბჭოთა რუსეთის მოსყიდულ აგენტების როლში, რომელნიც მოსკოვის ფულებით ცდილობენ საქართველოს აფეთქებას შიგნიდან და დამშეული წითელ-არმიელებისთვის გზის გაკაფვას თფილისისაკენ. აი ამ ორპირობის, ამ მოსყიდულობის, ამ რუსეთის აგენტობის გამო, შეუძლებელი ხდება ამ პარტიას ვუყუროთ ისე, როგორც ყოველ ლეგალურ ჯგუფს, ან მიმდინარეობას.

იგი ლეგალურიც არის და არალეგალურიც. როგორც ლეგალური, იგი მყეფარაა, როგორც არალეგალური იგი შემპარავია.

მაგრამ უნდა იცოდენ ამ ვაჟბატონებმა, რომ მათი ყეფა ვერავის დააფრთხობს. მათი იდეური ბალაჟი იმდენია, რომ ერთ ფეხმოტეხილ კურდღელს ეკიდება.

მათი „შემპარაობა“ კი ისე იოლათ არ შერჩებათ. საქართველოს დემოკრატიას მოეპოება ასეთ შემპარავთა წინააღმდეგაც შესაფერი ღონისძიებანი.

---

## „კომუნისტის“ მკითხველებს

IV.

**ბოლშევიზმის წარსულიდან.**

ამ გაზეთის „მეცნიერმა“ ბრძოლა გადაიტანა სულ სხვა ნიადაგზე. მე ვამხელდი მის ტყუილებს „საბჭოთა“ რუსეთის შესახებ და მოვითხოვდი ჩემი „ტყუილების“ მხილებას. ამაზე გაჩუმდა „კომუნისტი“. თუ, რუსული ანდაზის არ იყოს, სიჩუმე თანხმობის ნიშანია, ის ალბათ მეთანხმება მე და მაშასადამე, არ ეთანხმება თავის თავს. ახლა,—„ვინ სტყუის“—ეკითხება ჩვენ მკითხველებს, და კითხვა გადააქვს „სოციალისტური თუ ბურჟუაზიული“ რევოლიუციისკენ. აი ამაზე იტყვიან— въ огородѣ бузина въ Кіевѣ дядька.

არ მივბაძავ „კომუნისტს“ და არ გავექცევი იმ ასპარეზიდან, რომელზედაც ის ვითომ უკეთ გრძნობს თავს. დავიწყებია საწყალს თავისი პარტიის ისტორია. არ იცის რა ქონდათ ჩვენთან სადაო მის წინაპრებს. დიახ, ბოლშევიკების დღევანდელი ბელადები 1905 წელშივე შეჯდენ სოციალისტურ რევოლიუციის ნავზე. არ ამბობდენ ამით, რასაკვირველია, რომ ახლავე ხდება ეს რევოლიუციაო. ამას დღეს ამბობენ. მაშინ მათი აზრით, რუსეთი შედგა მხოლოდ იმ გზაზე, რომელსაც უნდა მიეყვანა მშრომელი ხალხი სოციალიზმის კარებთან. 1917 წლის ოქტომბერში კი გაიღო ეს კარები, და, როგორც ვიცით, გამოჩნდა „სოციალისტური სამოთხე“.

ბოლშევიკებ-მენშევიკები, მართალია, ერთათ იყვნენ ოქტომბრის რევოლიუციამდე, მაგრამ ბოლშევიკებს იმ დროებშივე ეტყობოდათ კომუნისტური ჩანასახი. ამას უწინასწარმეტყველებდათ ხოლმე პლეხანოვი. გადაიკითხონ მისი პოლიტიკური წერილები „Замѣтки публициста“ და გაიხსენონ, თუ შეუძლიათ რამის გახსენება.

დიახ, მაშინ ბოლშევიკების ხელმძღვანელები ფიქრობდენ, რომ რუსეთში დაიწყო სოციალისტური ხასიათის შეუჩერებელი რევოლიუცია. დღეს ასე ფიქრობენ, სხვათა შორის, რუსეთის მემარცხენე მენშევიკები, რომლებსაც თანდათან ეკარგებათ თავისი სახე და გადადიან კომუნისტურ პარტიაში.

1906 წელს პლეხანოვმა მიმართა საერთაშორისო სოციალიზმის მოწინავე წარმომადგენლებს შკითხვებით. —სოციალისტური რევოლიუციაა, თუ ბურჟუაზიული ის, რომელიც ახასიათებს მიმდინარე ისტორიულ ხანასო, ასეთი იყო მისი ერთ-ერთი შეკითხვა. პლეხანოვის მიმართვა მოხდა მე-2 დუმის არჩევნების წინა დღეებში, როცა ის ეკამათებოდა ლენინს და მის შაგირდებს. ნუ დაივიწყებს „კომუნისტი“, რომ პირველი რევოლიუციის ტალღებზედაც ტროცკი უფრო ახლო იდგა ბოლშევიკებთან, ვიდრე მენშევიკებთან. გადახედოს ბოლშევიკურ ცენტრალურ ორგანოს და, დავარწმუნებთ, ნახავს იქ ტროცკის წერილებს.

ლენინი ეკამათებოდა, მართალია, მაგრამ განსხვავება იყო მარტო ტაქტიკური. ლენინს მაშინ ისე ახლო მიზნათ არ ქონდა წარმოდგენილი ის, რაც ეჩვენებოდა ტროცკის. საერთო ხაზი, ტენდენცია კი ლენინის თვალშიაც იყო უფრო სოციალისტური, ვიდრე ბურჟუაზიული. წაიკითხეთ, რას სწერდა ის, მაგალითად საზღვარ-გარეთის „Впередъ“-ში. თვითმპყრობელობის დამხობის შემდეგ ძალა-უფლება არ უნდა გადავიდეს ბურჟუაზიის ხელშიო. მაშინაც ის ფიქრობდა **მუშა-გლეხობის დიქტატურაზე**. გაიხსენეთ ეს „კომუნისტის“ მეცნიერო. რომ ჩაეგდოთ ხელში სრული ძალა-უფლება, 12 წლით ადრე მოხდებოდა ის, რასაც ვხედავთ რუსეთში ოქტომბერს აქეთ. ეს მოხდებოდა, თუმცა ბოლშევიკებს უნდოდათ უკიდურესი დემოკრატიული წესწყობილება. განა 1917 წელსაც ეს არ უნდოდათ? განა კერენსკი-წერეთლის მთავრობას ისინი უკიდურესი დემოკრატიის გულისთვის არ ებრძოდენ? განა ყოველ დღე არ გაიძახოდენ, რომ დროებითი მთავრობა აგვიანებს დამფუძნებელ კრების მოწვევას და მის დასაჩქარებლათ მალე მუშა-გლეხობა უნდა გამეფდესო? წაიკითხონ ლენინის პატარა წიგნაკი „Къ моменту“ და ნახავენ, თუ შეუძლიათ კიდევ დანახვა რამესი.

1917 წლის ბოლშევიზმი არ ჩამოვარდნილა ზეციდან. მაშინ გადაიდგა მხოლოდ შემდეგი ნაბიჯი იმ გზაზე, რომელზედაც იდგნენ მისი სულის ჩამბერველები 1905—1906 წლებში. თუ თავისით ვერ ერკვევა ეს ჩემი შესანიშნავი მოკამათე ბოლშევიკური პარტიის განვითარების პროცესში, ეკითხა მაინც უფროსებისთვის, ვთქვათ ფ. მახარაძისთვის. აუხსნიდა, იქნება ამ სულ უბრალო ჭეშმარიტებას. ან ეტყოდა, რომ არ შეიძლება წერა იმ საგანზე, რომელსაც ვერ იცნობ.

ამის ცნობა რომ არ აქვს ჩემ „დიდ მოწინააღმდეგეს“, ეს სჩანს, სხვათა შორის, შემდეგი მისი სიტყვებიდან აქვე ამ „საქართველოს კომუნისტის“, პირველ ნომერშივე. ის „მიხსნის“, რა მიზანს ისახავდენ ბოლშევიკები 1905 წელს, და სწერს:—...მიწების კონფისკაცია, 8 ს. სამუშაო დღე და ყველა სოციალური რეფორმები მუშათა კლასისთვის და **როცა დასავლეთ ევროპაში შეიქმნება რევოლიუციონური სიტუაცია, იქაურ პროლეტარიატთან კავშირი სოციალისტურ გადატრიალებისათვის. აი ლენინის და საერთოდ ბოლშევიკების მაშინდელი პოზიციაო...** (ხაზი ჩემია) ალბათ არ გაეგება ამ სიტყვების დამწერს, რომ სწორეთ ეს იყო ტროცკის თეორია სწორეთ ეს იყო ის „პერგამენტური რევოლიუცია“, რომელზედაც ოცნებობდა ეს თავგახურებული ადამიანი.

რაღათ ამბობთ, არ იზიარებდენ ბოლშევიკები ამ ოცნებასო? ვინ სტყუის ბოლშევიკური წარსულის დაფასებაში?

ვიმეორებ, მაშინ რომ დიქტატურა ხელში ჩაეგდოთ, მეორე დღესვე მოსპობდენ დემოკრატიასაც და ყველა სოციალურ რეფორმებს მუშათა კლასისთვის. მოსპობდენ დღევანდულათ და თავისთვისვე მოულოდნელათ შეუდგებოდენ სოციალიზმის შენებას. დღესაც ხომ სულ „დასავლეთ ევროპის რევოლიუციონურ სიტუაციას“ უცდიან.

ლენინს არ ჰქონდა გათვალისწინებული თავისი პარტიის მომავალი. ის ეკამათებოდა ყველას, ვინც სოციალიზმს ახლო მიზნათ ისახავდა, ვინც მის გატარებას ფიქრობდა დემოკრატიის გვერდის ავლით. 1905—906 წლების ლენინი ვერ ამჩნევდა, რომ ის ეკამათებოდა 1917 წლის ლენინს.

არა, უნდა დამეთანხმოს „კომუნისტი“, რომ ბოლშევიკი საზოგადოთ ძლიერია მაშინ, როცა ხიშტი უჭირავს ხელში, როცა კი ამ ხიშტს გვერდზე აგდებს დროებით და ლოგიკური აზროვნობით ცდილობს გამოსვლას, მაშინ ის სუსტია თოთო ბავშვივით. აქამდის მე „კომუნისტს“ ვუსაყვედურებდი, რომ ის „საბჭოთა“ რუსეთის და დემოკრატიული საქართველოს შესახებ ფაქტებს განგებ ამახინჯებს, ახსვაფერებს-თქო. ახლა, როცა მისი და ჩვენი პარტიის წარსულზეა ლაპარაკი, ამ მხრივ ვერ შევწამებ ცილს. აქ ის ფაქტების დამახინჯებას არ ცდილობს, მაგრამ იჩენს ამ ფაქტების სრულ გაუგებრობას.

რა ვუყოთ, არა ერთი და ორი ბოლშევიკი გამოყრუებულა სამოქალაქო ომში. ვეტყვი საიდუმლოთ „კომუნისტს“, რომ მე უფრო გლახა გული მაქვს, ვიდრე ჩვენი მთავრობის აგენტებს. მე მინდა სულით და გულით, რომ ეს გაზეთი არასოდეს, არც ერთ დღეს არ იკეტებოდეს. მისი თანამშრომლები, მგონია, ვერ მიხვდებიან, რატომ მინდა ეს. მინდა, რომ ლეგალურ არსებობაში გამოიჩინონ მთელი ის იდეური „სიმდიდრე“, რომლითაც ისინი აწარმოებენ სამოქალაქო ომს.

**ს. დევდარიანი.**

---

## პრესა

გაზეთი „კომუნისტი“ ისევ განახლდა. პირველ განახლებულ ნომერში ნაამბობია რედაქციის დაპატიმრების და განთავისუფლების ამბავი. მთელი ამ ამბიდან „კომუნისტს“ ასეთი გაკვეთილი გამოაქვს:

„ყველამ იცის, რომ ჩვენი პარტია; თანახმათ მთავრობის თავმჯდომარის

# დღეს

**იტალიის ახალ კაბინეტში შედიან 4 რადიკალი, 4 სახალხო პარტიისა, 4 დემოკრატი, 3 ლიბერალი, 1 დამოუკიდებელი სოციალისტი, 1 სოციალისტ-რეფორმისტი.**

**ფრანგული ცნობით გერმანიის კაბინეტში შევლენ დემოკრატები, ცენტრის და ბავარიის სახალხო პარტიის წევრები.**

**ბალშევიკების ცნობით პოლონელები განაგრძობენ უკან დახევას ვინნიცის და ჟმერინკის მიმართულებით.**

გენერალური შტაბის ცნობა.

**18 ივნისი.**

**როყის მიმართულებით ჩვენმა ჯარმა დაიჭირა სოფელი კოშკი. წინსვლა გრძელდება.**

**დანარჩენ მიმართულებებზე სიწყნარეა.**

განცხადებისა და დაპირებისა, შეუდგა ლეგალურ მუშაობას იდეური ბრძოლის ნიადაგზე და თავის აღთქმას პირნათლათ ასრულებდა. მიუხედავათ ამისა მთავრობის აგენტები მას მაინც ვერ ითმენენ; დღიდან „კომუნისტის" გამოსვლისა ისინი შეწუხდენ. აშკარა იყო, რომ შარის მოდება უნდოდათ. ახლა აშკარა ხდება გაზ. „ერთობის" მუქარა: „ჩვენ გებრძვით თქვენ, არა მარტო იდეურათ, არამედ ფიზიკურადაცო". და სცადეს [illegible]

მეს.

იგივე „კომუნისტი" ამნაირად ეკამათება „სახალხო საქმის" თანამშრომელ ბ. ს. ფირცხალავას:

„საქართველოს დამოუკიდებლობის უდიდესი მტრები არიან—სწერს ეს ვაჟბატონი—სწორედ ქართველი ბალშევიკები... აწინდელი ქართველი ბალშევიკების როლი არაფრით განსხვავდება იმ ქართველის როლისაგან, რომელიც სპარსეთს მოუძღოდა წინ სამშობლოს დასამონებლათო". ლამაზათ და ენერგიულათაც სწერს ბ-ნი ფირცხალავა, მაგრამ ეს ვაჟბატონი ერთ რასმეში ცდება. სპარსეთს მოუძღოდენ წინ ქართველი გლეხების დასარბევად და დასამონებლად ქართველი თავადები და აზნაურები, ე. ი. ამავე გლეხკაცობის დაუძინებელი მტრები და ჯალათები. ბალშევიკები იბრძვიან სწორედ იმისთვის, რომ ქართველი მშრომელი მასსა, ქალაქის მუშები და სოფლის გლეხობა იხსნან როგორც ქართველ, ისე უცხოელ მყვლეფელ- მჩაგვრელებისაგან".

ბბ. კომუნისტებს თითონვე „მისამართი შესცვლიათ". დღევანდელი მათი მოღვაწეობა საქართველოში, უცხო ჯარებით საქართველოზე მოსვლა, რომელსაც ისინი აწყობდენ,—ყველა ეს **არსებითად**, თავის **ნაყოფით** არაფრით განსხვავდება იმ შემოსევისაგან, რომელსაც სპარსეთიდან აწმრმოებდენ საქართველოს წინაალმდეგ ჩვენებური ფეოდალები: ერთიც და მეორეც ერთნაირად წარმოადგენდა **ჩვენი გლეხების დარბევას**, დამონებას და გაძლეტას. ჩვენი გლეხებისათვის არავითარი განსხვავება არ არის, რა ეწერა ფეოდალების და რა სწერია კომუნისტების დროშაზე; მათთვის სულ ერთია, თავად-აზნაურები გაძლეტენ მას, თუ რუსის სალდათები. ამიტომ ჩვენი გლეხკაცობისათვის ერთნაირად „დაუძინებელი მტრები და ჯალათები არიან" როგორც ძველი ფეოდალები, ისე დღევანდელი კომუნისტები, რომლებსაც მათ წინააღმდეგ უცხო ჯარები მოჰყავთ.

## საბჭოთა რუსეთში

(გაზეთებიდან).

**ბეჯითი ხალხი.** ვინმე ს. კრომი გაზ. „პრავდა"-ს № 87-ში შემდეგს სწერს: „ჩვენში ბევრს სწერენ და ლაპარაკობენ მკაცრი შრომის ბეგარის, გამოფხიზლების, შრომის ნაყოფიერების გაძლიერების და სხ. შესახებ. და აი ალბათ, ამ მიზნით მოსკოვის სოვდეპის სხდომები შუადღის 3 საათზე იმართება და 1500-ზე მეტ მუშას თავის ნაყოფიერ შრომას აშორებენ. ამავე დროს იმართება მოსკოვის მუშ. დეპ. საბჭოს ალმ. კომიტეტის სხდომა, რითაც საპასუხისმგებლო ამხანაგებს აცდენენ დაწესებულებებში მუშაობას. ყველა დაწესებულებებში მუშაობის დროს იმართება კოლეგიების და სხ. მრავალი სხდომები და როცა ამ დროს დაწესებულებაში ხალხი საქმეზე მიდის, მათ უპასუხებენ: „კოლეგიის სხდომაა,არასცალიანთო".ასეთივე მდგომარეობაა ჩვენს პარტიულ ორგანოებში. აი, მაგალითად წინ მიდევს რუს. კომ. პარტ. მოსკოვის კომიტეტის [illegible]

მუშას სურდა მისი მოსპობა და იცავდა მას დემაგოგიურ თავდასხმებისგან. ბოლოს ამ მეორე ჯგუფმა მაინც ჩაშალა კრება, იმით, რომ ნამდვილი ბაზარი გამართა სხდომაზე და სიტყვა არ დაამთავრებინა მომხსენებელს. ცალკე პიროვნებათა დემაგოგიას იქ მუდამ აქვს ადგილი. კომუნისტების „იაჩეიკა" მათ წინააღმდეგ ვერას აწყობს რადგან იგი ამ ახლო ხანში შესდგა და ჯერ კიდევ სუსტია. სერიოზული დახმარება უნდა აღმოეჩინოს ამ „იაჩეიკას" მის მძიმე და და დიდ საქმეში". („პრავდა" № 87).

სუფთა კოსტიუმი და საათი, როგორც ხედავთ, კვლავ კონტრ-რევოლიუციონერობის დამამტკიცებელი „საბუთია" ბალშევიკების ხელში!..

**კერძო ვაჭრობა.** მოსკოვის მუშ. და წითელ არმ. დეპ. საბჭოს პრეზიდიუმმა ახალი დადგენილება გამოიტანა კერძო ვაჭრობის მოწესრიგების შესახებ. ეხლა შესაფერ ნებართვის აუღებლათ აკრძალულია ნორმა დაუდებელ სხვადასხვა საქონელით და საგნებით კერძო ვაჭრობა. კვირაობით შეიძლება ბაზარზე სწარმოებდეს ყოველგვარ ძველ, ნახმარ ნივთების გაყიდვა, გარდა სამხედრო ტანისამოსისა. ადმინისტრატიულ ნაწილს დაევალოს ყველა ის სასადილოები და კაფეები, სადაც სახალხო მოსამართლეთა და მუშათა და გლეხთა ინსპექციის შემოწმებით, მცხოვრებთა პარაზიტული ელემენტები დაიარება. „პრავდა" № 87.

ჯერ მოსპობა, განადგურება კერძო და საერთოდ ყოველგვარი ვაჭრობისა, შემდეგ მისი მოწესრიგება!.. ასე უკუღმა მუშაობენ ბალშევიკები.

**პილიულების წინააღმდეგ.** გამოცდილ სპეციალისტ სააფთიაქო მუშაკების უკიდურეს სიმცირის გამო წინადადება მიეცა ყველა ექიმებს შეძლების და გვარათ ნუ გაუწერენ ავადმყოფებს წამალს პილიულების სახით, რადგან ამათი დამზადება მუშაობას ართულებს. („იზვესტია" № 80).

უკეთესი კი იქნებოდა ერთი დეკრეტი ავადმყოფობის წინააღმდეგ გამოეცა ნარკომს. მაშინ საჭირო არ იქნებოდა არც პილიული, არც სხვა გვარი წამალი!..

**დიდი ქურდობა.** გუშინ 10 ს. დოკუჩაევის ქუჩაზე მოტლაშინის ბინიდან 400,000 მან. მოიპარეს, აბანოს ქ. კოკორინის ბინიდან მოიპარეს 145,000 მან. ქონება; მიხეილის ქ. კარაბისნიკოვს 100,000 მან. ქონება მოპარეს: ბუტისის ხუტორში საბჭოთა სამეურნეო დაწესებულებას 2 ცხენი მოპარეს. გეორგევის შესახ. მარტინოვს 200,000 მან. ქონება მოპარეს („იზვესტია" № 80).

საინტერესოა ვინ არიან დაზარალებულნი. როგორც საბჭოთა მთავრობის გაზეთებიდან ვიცით, ბურჟუაზია განადგურებულია. მაშ ვის აქვს ჯიბეზე ან ბინაზე ამოდენა ფულები. ალბათ კომისრებს აქვთ. ყოველშემთხვევაში, მუშებს არ ექნებათ.

**პშენო პურის მაგიერ.** ბუტარის, სუშჩევის, მარინეს, როგოჟ-სიმონოვის და ხამოვნიკის რაიონებში პურის ულუფის მაგიერ იმავე რაოდენობის „პშენო"-ს დაურიგებენ ბარათებით. („იზვესტია" № 80).

კიდევ კარგი, თუ „ფშენოსაც" არ მოაკლებენ...

**საჩუქარი ლენინს.** დღეს თურქესტანის სამხ. სარევოლ. საბჭოსაგან ლენინის სახელზე საჩუქრად მოვიდა 20 ვაგონი პური ფრონტისათვის, ლენინის 50 წ. იუბილეს გამო. პურს ასე გაანაწილებენ: 10 ვაგონი—ტორფის მუშებს, დანარჩენი—მოსკოვის, პეტროგრადის და ივანოვო-ვოზნესენსკის ბავშვებისთვის. („იზვესტია" № 87)

ამ მხრით მართლა სასარგებლო დარჩა ლენინის იუბილე. იქნება რამდენიმე ათეული მუშა გაძღეს ერთხელ მაინც...

**საბოტაჟი.** 1 მაისიდან პავლო-პოსადის ქარხნებს მუშაობის სრულიად შეწყვეტა მოელოდა სათბობი მასალის გამოლევის გამო. სათბობ მასალის საქმეთა მთავარმა სამმართველომ წინადადება მისცა „დრეზდენის მანუფაქტურის" ქარხანას, რომელსაც საკმაოდ მოეპოვებოდა ტორფი, პავლოპოსადის ქარხნისთვის დაეთმო 60,000 ფუთი ტორფი. ქარხნის ინსპექციამ ეს განკარგულება არ შეასრულა და განაცხადა, რომ მას თითონ არ მოეპოვება საჭირო რაოდენობის ტორფი. როდესაც აღმოჩნდა, რომ ეს მართალი არ იყო, განკარგულება გაიცა, რომ „დრეზდენის მანუფაქტურის" ქარხნის ინსპექცია დააპატიმრონ და „ჩერეზვიჩაიკას" გადასცენ. („ეკონ. ჟიზნ" № 100).

საინტერესოა ვიცოდეთ—მუშების მიერ არის არჩეული ინსპექტორი თუ ის დანიშნულია „ზევიდან"...

**პეტროგრადის მექანიკურ ქარხნის რევიზია.** მოსკოვის სამხედრო საოლქო ინსპექციის რევიზიამ პეტროგრადის მექანიკურ ქარხანაში აღმოაჩინა, რომ ეზოში მრავალი იარაღი და დაზგა იყო მიგდებული. ქარხანაში მუშაობას აფერხებს სათბობი მასალის უქონლობა და ის, რომ მუშების 70 პროც. ახლო მახლო სოფლების გლეხებია; საერთოდ კი ქარხანაზე საჭირო რიცხვის მხოლოდ ერთი მეხუთედი ნაწილი მუშა არის. ბუღალტერია და ანგარიშები ძალიან ცუდათ სწარმოებს. ინსპექცია იმ დასკვნამდე მივიდა, რომ ქარხანაზე მუშაობა შესაძლებელია მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ საჭირო მუშა-ხელოსნები წითელ არმიიდან გადმოიყვანეს. მუშებს საჭირო რაოდენობის სურსათი უნდა მიეცეს, ქარხნის ხელმძღვანელათ გამოცდილი და მცოდნე სპეციალისტები დაინიშნოს. უნდა მოძებნილ იქნას სათბობი და ყველა სხვა საჭირო მასალები და ტანისამოსი მუშებისთვის. („ეკონ. ჟიზნ" № 100).

სად არის მუშათა კონტროლი,—ეს ბალშევიკების სადემაგოგიო დაწესებულება დღიდან რევოლიუციისა...

**ნაცვლად სალამისა.** „სრ- რუს. ცენ. კომიტეტის მოამბე"-ს რუსეთის და მსოფლიო პროლეტარიატის ბელადის ვლადიმერ ილიას ძე ლენინის დაბადებიდან 50 წლის შესრულების გამო, მისალმების ნაცვლად მოყავს ორი დეპეშა, რომელიც იმედს გვაძლევს, რომ ჩვენი სამეურნეო ცხოვრება ჩქარა აყვავდება. რედაქციას სწამს, რომ ცნობა ნავთის და ორთქლმავალების შესახებ ყველაზე ძლიერ გაახარებს ძვირფას ამხანაგ იუბილიარს.

**ორთქლმავალები.** პეტროგრადი, 20 აპრილი. რეველში მოვიდა პირველი პარტია ორთქლმავალებისა, რიცხვით 200, რომელიც შეძენილ იქნა საბჭოთა მთავრობის მიერ ამერიკის შეერთებულ შტატებში. ამ მოკლე ხანში ორთქლმავლები პეტროგრადში გაიგზავნება. ჩრდილო ამერიკაში სულ ნასყიდია 5 ათასი ორთქლმავალი.

**ნავთი.** სარატოვი. 20 აპრილი. ნავთის საკითხი ჩვენდა სასარგებლოთ სწყდება. ასტრახანში მოვიდა 500 ათასი ფუთი ნავთი, რომელიც მდ. ვოლგით უნდა იქნეს წაღებული. ცარიცინიდან იტყობინებიან, რათა იქ დაუყოვნებლივ გაიგზავნოს ნავთის ჩასასხმელი გემები, რომლებიც გადაზიდავენ იმ ნავთს, რომელიც გროზნიდან სპეციალურ მატარებლებით მოდის დღეში 250 ათასი ფუთამდე. („იზვესტია" № 86).

ამას წინად ჩვენს გაზეთში დაბეჭდილი იყო საბჭოთა გაზეთებიდან ცნობა იმის შესახებ, თუ როგორ გასცეს ბრძანება „როსტის" იმ თანამშრომლის შეპყრობის შესახებ, რომელმაც ყალბი ცნობა მიაწოდა გაზეთებს ამერიკაში ორთქლმავლების შეძენისა. როგორც ვხედავთ, თურმე ამ არ შეძენილი ორთქლმავლებით ახარებენ ლენინის გულს მისი თაყვანისმცემლები. ალბათ ნავთიც ისე იყო მიზიდული ცარიცინში, როგორც ამერიკიდან რეველში ორთქლმავლები.

## „წითელ" აზერბეიჯანში

(გაზეთებიდან).

**დეზერტირობა.** ძლიერ გაძლიერდა დეზერტირობა საბჭოთა ჯარში. ნამეტნავათ გაურბიან სამხედრო ბეგრის მოხდას ასკერები, რომლებზედაც დიდი შთაბეჭდილება მოახდინა განჯის უკანასკნელმა ამბებმა.

მე-11 არმიამ 6 ივნისს გამოაცხადა „დეზერტირთა კვირა". გაზეთებში შემდეგი განცხადებები იყო დეზერტირ ასკერებისადმი მიმართული: „წითელ არმიელები, რომელთაც სურთ დაუბრუნდენ არმიას, უნდა გამოცხადნენ ამა და ამ ადგილას. (ნაჩვენებია მისამართი), ვინც თავის ნებით გამოცხადდება, მას არავითარი სასჯელი არ მოელის. სასჯელი ეპატიებათ აგრეთვე დეზერტირთა შემნახველთ, სასჯელისაგან განთავისუფლებული არიან ყველა წითელ არმიელები, რა კლასსაც არ უნდა ეკუთვნოდენ."

მიუხედავათ ყოველივე ამისა, სულ მცირედი ნაწილი დეზერტირისა გამოცხადდა თავისი ნებით.

**სურსათის ნაკლებობა ბაქოში.** ბაქოში თვეზე მეტია, რაც პურის საშინელი კრიზისია. მაისის მეორე ნახევრიდან მცხოვრებთ ეძლევათ დღეში ნახევარ გირვანქა ბრინჯი, მუშებს—ერთი გირვანქა. შაქარი იყიდება ჩუმათ გირ. 500 მანეთად. ბალშევიკების შემოსვლისათანავე ბაზარზე გაქრა პური. აურებელი მატარებლები სურსათით დატვირთული გაიგზავნა ბაქოდან მოსკოვში. მაისის დასაწყისში ბაქოში კიდევ მოიძებნებოდა პური, მაგრამ დუქნებთან ისეთი გრძელი „კუდები" იმართებოდა, რომ მთელი დღე უნდა მდგარიყო ადამიანი პურის მისაღებად. ხშირი იყო მცხოვრებთა შორის რიგის გამო ჩხუბი.

იყო შემთხვევა, რომ რუსის დედაკაცმა ქვით მოჰკლა მუსულმანი ქალი.

**ბაქოს ქართველობა.** ბაქოს ქართულმა სკოლამ შეადგინა საქართველოს მოქალაქეთა სია, რომელთაც სურთ სამშობლოში დაბრუნება. ჩაეწერა 600 კაცამდე. ელოდებოდენ ბ. ალშიბაიას, რომლის დახმარებით იმედი აქვთ სამშობლოში დაბრუნებისა.

**რეკვიზიცია.** კომუნისტები შეუდგნენ მცხოვრებთა ავეჯეულობის რეკვიზიციას ართმევენ ძვირფას დგამს და სხვა ავეჯეულობას.

**უკმაყოფილება.** მუსულმან მცხოვრებთა უკმაყოფილება დღითი დღე იზრდება. დიდ უკმაყოფილებას იწვევს მუსულმანებში ისეთი სავალდებულო დადგენილებები, როგორიც არის მუსულმან ქალების მიერ კულტურულ დაწესებულებებში სავალდებულო სიარული.

**განჯის მდგომარეობა.** 14 ივნისს თფილისში ჩამოსულთა გადმოცემით განჯაში ჯერ კიდევ საალყო წესებია. ქალაქში არავის უშვებენ უნებართვოთ. განჯის სადგურის მახლობლათ სამი ძმათა სასაფლაოა. რკინის გზელთა გადმოცემით თითოში დაახლოვებით 150 კაცი არის დამარხული. არავინ იცის დასაფლავებულთა სახელი და გვარები. როგორც ეტყობათ საფლავი არ არის ღრმათ გათხრილი, რადგანაც გვამების საშინელი სუნია საფლავების მახლობლათ.

**70 ათასი „მუქთა ხორა".** ქ. ბაქოს სასურსათო კომიტეტი შეუდგა ბინის კომიტეტების საშუალებით მცხოვრებთათვის ბრინჯის დარიგებას მთელ მცხოვრებთა რიცხვი სამ კატეგორიად არის დაყოფილი. პირველ კატეგორიას ეკუთვნიან ისინი, რომლებიც ფიზიკურ შრომით ირჩენენ თავს, მეორე კატეგორიას მუშათა ოჯახები და საბჭოთა მოხელეები. მესამე კატეგორიას ეკუთვნიან ბურჟუები, რომელთაც არაფერი ეძლევათ. როგორც გამოირკვა ბაქოში 70 ათასი ბურჟუა ყოფილა. („კომუნისტი" № 28).

**საქართველოსთან მოლაპარაკების გამო.** აზერბეიჯანის კომუნისტების ცენტრალური ორგანო „კომუნისტი" (№ 29) ეხება რა აზერბეიჯანს და საქართველოს შორის საზავო მოლაპარაკებას, ჩვეულებრივად როგორც კომუნისტებს სჩვევიათ, მაგრათ ილანძღება. ახალგაზრდა საბჭოთა აზერბეიჯანს,—სწერს გაზეთი,—მოუხდა შეტაკება ყაჩაღთა და „მაშენიკების" სახელმწიფო საქართველოსთან.ჟორდანიას და გეგეჭკორის მთავრობა, რომელიც დენიკინის და ანტანტის წინაშე ყოველთვის აცხადებდა თავის თავს მშვიდობიანობის მოყვარულათ, თავს დაესხა ახლად შობილ საბჭოთა აზერბეიჯანს.მხოლოდ უსაზღვრო ზიზღმა „სოციალ-მედუქნებისადმი" და საქართველოს მუშათა და გლეხთა ინტერესების დაცვამ, გვაიძულა ზავი ჩამოგვეგდო საქართველოსთან ძლიერმა გამარჯვებულმა საბჭოთა რუსეთმა ზავი შეკრა პატარა საქართველოს საბრალო მთავრობასთან და ამით დაამტკიცა, რომ მას სწამს ერთა თვითგამორკვევა. საქართველოს მთავრობას არ სურს უმტკივნელად გადასჭრას სადავო საკითხები. ეს გამომდინარეობს მისი დელეგაციის მოქმედებიდან. საქართველოში თავი შეაფარეს აზერბეიჯანის „ბეგებმა" და ხანებმა და ამით საქართველომ დაგვანახა, რომ იგი საბჭოთა აზერბეიჯანის მტერთა რიცხვშია.

ბრმათათვისაც ცხადია, რომ აზერბეიჯანის კონტრ-რევოლიუციის გენერალური შტაბი საქართველოს მენშევიკების მფარველობის ქვეშ იმყოფება და საქართველოდან გამომდინარეობს ის აჯანყებები, რომელსაც ახდენენ ბეგები აზერბეიჯანის პროვინციებში".

---

(ჩამოსულის ნაამბობიდან).

**სასურსათო მდგომარეობა ბაქოში.** ბალშევიკების ჩამოსვლამდე ბაქოში გირვანქა პური 6—12 მანეთამდე ფასობდა. საბჭოთა მთავრობის დროს როგორც პურის, ისე სხვა სანოვაგის ფასი წარმოუდგენელის სისწრაფით გაიზარდა. მაისის ბოლო რიცხვებში და ივნისში პური სრულებით არ იშოვებოდა, ვინაიდან ყველა პურის საცხობები ჯარის საჭიროებისათვის მუშაობდა. პურის მაგივრად მცხოვრებთ აძლევდენ ბრინჯს: პირველი კატეგორია იღებდა 1 გირვანქას, მეორე—$^{1}/_{2}$ გირ. და მესამე—სულ არ იღებდა. უკანასკნელ დღეებში პური კერძო პირებზედაც იყიდება, გირვანქა ღირს 80-დან 140 მანეთამდე. სხვა სურსათ-სანოვაგეზე შემდეგი ფასებია: ძროხის ხორცი—100—120 მან. გირ. ცხვრის ხორცი—120—140 მან.,შაქარი სრულიად არ იშოვება. თუ სადმე ნახეთ შემთხვევით, გირვანქას 500 მან. ნაკლებ ვერ იყიდით; კოჭი ძაფი ღირს 300 მან., ტუალეტის საპონი ნაჭერი—500 მან., სარეცხი საპონი—200—300 მან., გირვანქა ქიშმიში—250 მან.

**სულიერი განწყობილება.** გადაჭრით შეიძლება იმის თქმა, რომ საზოგადოების თითქმის ყველა წრეები მტრულათ არიან განწყობილნი საბჭოთა მთავრობის მიმართ.იმასაც რომ თავი დავანებოთ, თუ როგორი შთაბეჭდილება მოახდინა განჯის ამბებმა მუსულმანობაზე, — დიდ უკმაყოფილებას იწვევს მძიმე ეკონომიური კრიზისი, პურის უქონლობა და წარმოუდგენელი სიძვირე, რაც მეტად მძიმე მდგომარეობაში აყენებს საზოგადოების ყველა წრეებს. მუშათა მდგომარეობის უნუგეშობაზე, სხვათა შორის, ისიც საკმაოთ ლაპარაკობს, რომ ყოველდღიურად სტოვებს ბაქოს და მიდის სპარსეთში არა ნაკლებ 500—600 მუსულმან მუშისა; სპარსეთში წასვლა გამოწვეულია არა უმუშევრობით, არამედ—წარმოუდგენელ სიძვირით,—მუშას არ აქვს საშუალება თავი ირჩინოს საკუთარ სამუშაო ქირით.

**მაშტაგის ამბები.** მუსულმანობასა და საბჭოთა მთავრობას შორის დამოკიდებულობას ნათელს ჰფენს მაშტაგის ამბები, რასაც 10—12 დღის უკან ჰქონდა ალაგი. მაშტაგი გვარიანათ მოზრდილი სოფელია ბაქოს ახლოს. საბჭოთა მთავრობამ გადასწყვიტა იარაღი აეყარა ამ სოფლის მცხოვრებთათვის. სოფელმა 500-მდე იარაღი ჩააბარა წითელ არმიელებს; მაგრამ ბალშევიკები ამან არ დააკმაყოფილა. ბალშევიკების მხრივ იარაღის დაჟინებით მოთხოვნამ საქმე შეტაკებამდე მიიყვანა; ბალშევიკებმა დახვრიტეს სოფლელთა დელეგაცია და სოფელს სროლა დაუწყეს არტილერიიდან და აეროპლანებიდან. ყოველ დღე მოდის ცნობები სხვადასხვა ალაგებში მომხდარ აჯანყებებისა და შეტაკებების შესახებ.

**კუჩუკ-ხანი და კომუნისტები.** ისარგებლა რა კომუნისტების გამარჯვებით ენზელში,—კუჩიკ-ხანმა დაიკავა რეშტი და იქ თავისი ძალა-უფლება გამოაცხადა, რომელიც მონათლა საერთო სახელმწიფოებრივ მთავრობათ. მაგრამ, სარგებლობს რა ბალშევიკების დახმარებით ინგლისელების წინააღმდეგ, კუჩიკ-ხანი ამასთანავე გულგრილათ უცქერის ბალშევიკურ თანამშრომლობას ცხოვრების ბალშევიკურ მეთოდის თანახმათ მოწყობის საქმეში და გადაჭრით ეწინააღმდეგება ბალშევიკების მხრივ შინაურ საქმეებში ჩარევას. იგი წინააღმდეგია, რათა ბალშევიკური ჯარები შევიდნენ მის მიერ დაკავებულ ოლქებში და ითხოვს მხოლოდ ინსტრუქტორებს. ბაქოდან ჩამოსულ ბალშევიკურ აგიტატორებს მან აღუკრძალა აგიტაცია ეწარმოებიათ ბურჟუების, კაპიტალისტებისა და სხვ. წინააღმდეგ. „მე არ მეყოფა ძალა, რომ ორ ფრონტზე ვიბრძოლო, — განაცხადა მან: მე ვიბრძვი ინგლისელების წინააღმდეგ, მაგრამ არ მინდა შევქმნა შინაური ფრონტი",—ფრონტი სამოქალაქო ომისა. მაგრამ ყველაზე საინტერესო კუჩიკხანის ეკონომიური პოლიტიკაა. კომუნისტები იმედოვნებდენ, რომ ისევე ადვილათ გამოიტანდენ საქონელს რეშტიდან და ენზელიდან, როგორც ბაქოდან გაიტანეს. ისინი ალაპარაკდენ იმაზე, რომ სპარსეთში ბევრი ბრინჯია, და განზრახული ჰქონდათ ეს ბრინჯი ბაქოში გადმოეტანათ. ენზელში გაიგზავნა 10,0000 ცარიელი ტომარა. კუჩიკ-ხანმა გადაჭრით განაცხადა, რომ იგი ბალშევიკებს ბრინჯს მხოლოდ იმ შემთხვევაში მისცემდა, თუ საქონლის გაცვლა-გამოცვლა იქნებოდა, ან თუ ბალშევიკები სხვა რაიმე მტკიცე ვალიუტას მისცემდენ. მაგრამ ბალშევიკებს ასეთი რამ არ გააჩნდათ და კუჩიკ-ხანმა აიძულა ისინი ცარიელი ტომრებით უკანვე დაბრუნებულიყვნენ.

## ბალშევიკების მუშაობა ჩვენში

**რისთვის სდევნიან?**

დახურული „კომუნისტის" ნაცვლად გამოვიდა „საქართველოს კომუნისტი", რომელშიაც, სხვათა შორის, მოყვანილია რამდენიმე მაგალითი იმისა, თუ როგორ სდევნიან კომუნისტებს საქართველოს სხვა და სხვა ადგილებში.

ერთ მაგალითზე ჩვენც შევჩერდებით. გაზეთი სწერს, რომ „ცენტრალური კომიტეტის მიერ გაგზავნილი ამხანაგი სერგო მეგრელიშვილი თიანეთის მაზრაში ორგანიზაციების მოსაწყობათ 16 ამ თვეს დაპატიმრებული ჩამოიყვანეს და თფილისის „ოსო"ი ოტრიადიდან" სატუსაღოში გაგზავნეს"-ო.

რაშია საქმე?

ის „საქმე", რომელიც შედგენილია სერგო სილიბისტროს ძე მეგრელიშვილის შესახებ, შემდეგს გადმოგვცემს:

ხსენებული მეგრელიშვილი გამოცხადდა თიანეთის მაზრის მილიციის უფროსთან, წარუდგინა მას თფილისის საგუბერნიო კომიტეტის რუსულად დაწერილი მოწმობა სტურუას და ნერსეკის ხელმოწერილი, რომ მას დავალებული აქვს კომუნისტური ორგანიზაციების მოწყობა თიანეთის მაზრაში და სხ.

მილიციის უფროსმა შემდეგი უპასუხა: „ყოველი პოლიტიკური პარტია უნდა ადგეს ერთ გზას და ეს გზაა ყველაფერი ფრონტისათვის. მობილიზაციის კარგად ჩასატარებლათ დახმარება მთავრობას. შინ მშვიდობიანობის დაცვა და მომქმედ ჯარისთვის ზურგის გამაგრება. ხოლო ვინც ამ ლოზუნგის ხელის შემშლელად გამოვა,—ის მოღალატეა მთავრობის, წინააღმდეგია არსებული წესწყობილების და ასეთი პირი, ვინც გინდა იყოს, დაისჯება მთელი სისასტიკით საქართველოს დემოკრატიულ კანონებისაო".

როგორც ოქმი გადმოგვცემს, მეგრელიშვილმა თურმე „სავსებით გაიზიარა ასეთი შეხედულება", მაგრამ,—მოშორდა თუ არა მილიციის უფროსს, „შეუდგა აგიტაციას გლეხებში მობილიზაციის, მთავრობის და გადასახადების წინააღმდეგ. გააბა კავშირი წარსულ ამბოხებაში მონაწილე პირებთან" და სხ.

და ამას ამოწმებს მოწმეთა ჩვენებაც. ერთი მოწმე, მაგალითად, აჩვენებს შემდეგს: „გუშინწინ მან (მოწმემ) თვალი მოჰკრა ბალშევიკების ბინაზე მიმავალთ, რომლებსაც ისიც გაჰყვა. ბალშევიკმა მუსაიფი დაიწყო მენშევიკური მთავრობის გინებით. ის ამბობდა, რომ თქვენი მთავრობა მდიდრების დამცველია— გლეხების და მუშების მტერი, უთითებდა როგორც ახლანდელ, ისე მომავალ საშინელებაზე, რომელიც დაიწყება გლეხების წელში გამწყვეტ შეუძლებელ გადასახადებით, რაც იქნება დადებული აგრეთვე ოთხფეხ საქონელზე და შინაურ ფრინველებზე. მობილიზაციაზე ლაპარაკობდა, რომ ეს გლეხებს და მუშებს აღარ სჭირდებათ, რომ ეს მთავრობის იმპერიალისტური მიზნითაა გამოწვეულიო, ძმებს ერთმანეთს ახოცვინებს და ეროვნულ დაპირდაპირებას ახდენენო. ასეთი მთავრობა დიდ ხანს ვერ იარსებებს, მხოლოდ საჭიროა ეს გადატრიალება დავაახლოვოთო" და სხ.

მეორე მოწმე ლაპარაკობს: „მობილიზაცია, მიწა, გადასახადი და მთავრობა იყო აღებული სალაპარაკო საგნათ. გუშინწინ შემთხვევა მიეცა მეგრელიშვილის ბინაზე შეკრებილებში გარეულიყო, სადაც უკანასკნელი (მეგრელიშვილი) აგიტაციას ეწეოდა მთავრობის, მობილიზაციის და სხ. წინააღმდეგ. მოუწოდებდა მათ მხარი დაეჭირათ ბალშევიკებისათვის, რომელნიც მიზნათ ისახავენ მენშევიკური მთავრობის ჩამოგდებას". მოწმის აზრით მეგრელიშვილის მოქმედება მიმართულია გლეხების ასაჯანყებლად.

**მხოლოთ** ამის შემდეგ იქნა შეპყრობილი მეგრელიშვილი, რომელმაც წაყენებული ბრალდებები უარყო—თქვენ რომ სიტყვა მოგეცით მოსვლისას, იმ აზრს ვადგივარ და ვემსახურებიო განუცხადა მილიციას.

მაგრამ ყველასათვის აშკარა არ იყო და არის, თუ რას ემსახურებიან ბალშევიკები? უპირველესი მათი მიზანია არა ბალშევიკური მთავრობის ჩამოგდება— სულ ერთია: ვინც უნდა იყოს ის. ამის გარშემო აქვთ მათ გაჩაღებული მუშაობა. განა თვით გაზეთ „კომუნისტშიაც" აშკარათ არა სჩანს ბალშევიკთა განზრახვანი? ფრონტის დაშლა, აჯანყების გამოწვევა!.. სხვაფრივ არც შეიძლება მათი მუშაობის წარმოდგენა.

განა გუშინ არ დაესხა ეს ხალხი თფილისში სამხედრო სასწავლებელს?

განა გუშინ არ ამზადებდნენ პლანებს შეიარაღებული გამოსვლისას თფილისში?

განა დიდი ხანია მას შემდეგ, რაც მათ რესპუბლიკის სხვადასხვა ადგილებში პროვოკაციის საშუალებით თუ სხვა მიზეზით აიყოლიეს ხალხი და იარაღით ხელში გამოიყვანეს?

განა დღეს არ კისრულობენ ჩვენებური ბალშევიკები ოსების აჯანყების სულიერ მამობას?

ასეთია აშკარა, დამარწმუნებელი ფაქტები.

და ამის შემდეგ იმაზე წერა და ლაპარაკი, თითქოს ისინი ჩვენში ორგანიზაციებს აწყობდენ საქართველოს დამოუკიდებლობის დასაცავად, გაზეთს სცემდნენ სადავო კითხვების გასარკვევად და იდეური ბრძოლის საწარმოებლათ,—დაცინვა არ არის?

არ გაუდის ბალშევიკებს „ნომრები", აშკარავდება მათი ბოროტი განზრახვანი, შეძლებისა და გვარად ამ საქმეს ვემსახურებით ჩვენც, ამას ვერ ურიგდებიან და გაჰკივიან: იდეურათ ბრძოლის უნარი თქვენ არ შეგწევთო და სხ. მაგრამ ავიწყდებათ ამ ვაჟბატონებს, რომ **იდეურათ** ბრძოლაზე მეტია ლაპარაკი იქ, სადაც **იარაღით** მოდიან...

ამას გარდა, აღსანიშნავია ერთი გარემოება: როგორც სჩანს, ყოველი კომუნისტი, რომელიც კი ცენტრიდან პროვინციაში დაიძვრის „სამუშაოდ", პირველათ თავისი „იავკით" ცხადდება ადგილობრივ ადმინისტრაციასთან და ერთგვარ დემონსტრაციას ახდენს. უნდა ვიმუშაო და ხელი არ შემიშალოვო. იგივე კომუნისტი კი გუშინ იმავე ადმინისტრაციას ებრძოდა თოფით, ყუმბარით, ზარბაზნით...

ბალშევიკის ამგვარი თავხედობა, თავისთავად ცხადია, იწვევს ადმინისტრაციის მხრივ შესაფერ პასუხს...

თუ მშვიდობიანი მუშაობა და ცხოვრება სურთ ბალშევიკებს, სხვათა შორის, ამ თავხედობასაც უნდა ანებონ თავი.

მაგრამ რას ვამბობთ—განა ყველასათვის დასანახი არ არის, თუ რა სურთ ბალშევიკებს, რას ემსახურებიან?..

ამიტომ, როცა ადმინისტრაციასთან თავხედობით ვერაფერი გააწყონ, თავიანთ თავს მაინც უთხრან: „რაც მოგივა დავითაო, ყველა შენი თავითაო".

X.

## თფილისის საინფორმაციო ბიუროს ცნობები

18 ივნისი.

**ბერლინი.** მოკავშირე კომისიისადმი ცეპელინების გადაცემა დიდ წინააღმდეგობას იწვევს მუშების მხრივ. გერმანიის მუშები მოითხოვენ ცეპელინების მაგივრად გერმანიის სავაჭრო გემების დაბრუნებას, რომლებიც ბოდენზენში და ნორდშტერნში იდგა.

**ყირიმში.** საბოლოოდ გამოირკვა, რომ ვრანგელის ჯარების მიერ სულ 40,000 ტყვე არის წამოყვანილი. ნადავლთა შორის არის: 62 ზარბაზანი და აურებელი ტყვიისმფრქვეველი. ბერდიანსკზე შეტევის დროს, 8 ივნისის ბრძოლაში, წამოღებულია 12 ზარბაზანი და ტყვიისმფრქვეველები. ფრონტმა მარიუპოლის ჩრდილოეთით 65 ვერსზე გაიწია.

**ბათომი.** ვრანგელის მიერ ბრძანება არის გამოცემული ყველა სამხედრო ნაწილებიდან უცხო სახელმწიფოთა ქვე-

შევრდომების განთავისუფლების შესახებ. სხვათა შორის, თავისუფლდება საქართველოს, სომხეთის, ფინეთის, ლატვიის, ესტონეთის, ლიტვის და პოლონეთის მცხოვრებნი. ყველა იმ პირებს, ვისაც წლოვანების მიხედვით ეხება ჯარში გაწვევა, წინადადება აქვთ მიცემული ერთი თვის განმავლობაში სამშობლოში გაემგზავრონ.

სევასტოპოლში დასრულდა 16 კომუნისტის საქმის მოსმენა, რომელთაც ვრანგელის წინააღმდეგ შეთქმულების მოწყობა ბრალდებოდათ. განზრახული იყო გენერალი ვრანგელის და სლაშჩევის სევასტოპოლიდან ჯანკოიში გამგზავრების დროს რკინის გზის აფეთქება. 13 კომუნისტი დამნაშავედ იცნეს და სიკვდილით დასჯა გადაუწყვიტეს. განაჩენი სისრულეში იქნა მოყვანილი.

გამოცხადებულია 21 და 22 წლიანების მობილიზაცია. განზრახულია 35—38 წლიანების მობილიზაციაც.

# დეპეშები

(საქართველოს დეპეშათა სააგენტო)

18 ივნისი.

**ბოლშევიკების ცნობები.**

**სამხედრო ცნობა.**

მოსკოვი. ივნ. 18. ბერეზინაზე ჩვენ დავამარცხეთ მტერი, რომელიც ცხარეთ იგერიებდა ჩვენ შეტევას. კოროსტენის მიმართულებით ჩვენ განვაგრძობთ უკან დახეულ მტრის კოლონათა დევნას. მათ არიერგარდებს ვამარცხებთ. მოწინააღმდეგე უკან დახევის დროს სწვავს რკინის გზის მოწყობილებებს და ანადგურებს დარჩენილ ქონებას. ვინიცისა და ჟმერინკის მიმართულებით ჩვენ წარმატებით წინ მივიწევთ.

**დეზერტირობის წინააღმდეგ.**

დასავლეთის ფრონტის სამხ. რევ. საბჭომ განკარგულება გასცა კონფისკაცია მოახდინონ ყველა დეზერტირის, მათი ოჯახების და დამფარველთა საცხოვრებელის ერთი ნახევარისა, თუ ისინი 30 ივნისამდე არ გამოცხადდებიან და მეორე ნახევარის კონფისკაცია მოახდინონ მაშინ, თუ 15 ივლისამდე არ გამოცხადდენ.

**გერმანული ცნობები:**

**რეინის ოლქში.**

იმ წერილების გამო, რომელიც ჰკიცხავდა გერმანიის ოლქში საოკუპაციო ფერადი ჯარის შეყვანას, რეინის კომისიამ დახურა „კელნიშე ცაიტუნგი“ და სხვა გაზეთები.

**ნახშირი.**

მთავრობამ გამოიმუშავა რურის ოლქში 150,000 მაღაროს მუშის მუშაობის წესი, რის წყალობითაც ნახშირის დამუშავება ძლიერ გაძლიერდა.

**ოკუპაციის დროს.**

ფრანგების მიერ ლიუდვიგსგაფენის მაინცის და ვისბადენის ოკუპაციის დროს მათ მუშათა მრავალი სოციალისტი ლიდერი დააპატიმრეს. საფრანგეთის ჯარის სარდალმა აკრძალა სახალხოთ შესრულება გერმანიის ეროვნული სიმღერებისა, როგორც მაგ. „ვასტ ამ რეინის“, „დოიჩლანდ იუბერ ალეს და აგრეთვე ეროვნული ფერის დროშების ხმარება. დამნაშავეთ დასჯიან, როგორც სამხედრო ბრძანების მოწინააღმდეგეთ.

**ფრანგული ცნობები.**

**სპარსეთის გარშემო.**

თეირანის ინფორმაციის თანახმად საბჭოთა მთავრობამ უნდა დასტოვოს ენზელი, როგორც კი სპარსეთის დამოუკიდებლობა უზრუნველყოფილი იქნება და იგი უცხოელთა გავლენის ქვეშ აღარ იქნება.

**ფ ა ს ე ბ ი.**

**მარსელი.** 17 ივნისი. ბრინჯი ღირს 250, მუხუდო 140, კართოფილის ფქვილი 160.

**ჰავრი.** 16 ივნ. ივნისის ბამბა 631, ივლისის 628, აგვისტოსი 619.

**ლიონი.** 17 ივნ. სევენის აბრეშუმი 270, იტალიის 290, სირიის 230, იაპონიის 270, ჩინეთის 300, კანტონის 200.

**სამხედრო სამსახური.**

სამხედრო მინისტრმა სამხედრო კომისიას განუცხადა, რომ თუ მდგომარეობამ მოითხოვა სამხედრო სამსახურს 2 წლით გავადიდებო.

**საერთაშორისო სავაჭრო პალატა.**

მომავალ კვირაში პარიზში შეიკრიბებიან ყველა ქვეყნის კომერსანტები და მრეწველები საერთაშორისო დიდი სავაჭრო პალატის საფუძვლების გამოსამუშავებლად, ამ პალატის დაარსება 1919 წელში გადაწყდა. ამ სხდომის დღის წესრიგშია საკითხები: ვალიუტისა, ეკონომიისა, ტრანსპორტისა და ეკონომიური აღორძინებისა.

**გერმანიის განიარაღების გამო.**

პალატის საგარეო საქმეთა კომისიაში გერმანიის განიარაღების შესახებ მინისტრმა თავისი შთაბეჭდილება გაუზიარა. თუ გერმანიამ აღასრულა ზოგიერთი რამ ხელშეკრულებისა, მაგრამ საერთოდ მაინც გამოიჩინა ჟინიანობა, ხელშეკრულების სრულიად აღსრულებას აგვიანებსო.

**ოსმალეთის დელეგაცია.**

გემი „გულ-ჯემალი“ ხუთშაბათს კონსტანტინოპოლიდან ტულონში მოვიდა. მას თან მოყავდა ოსმალეთის დელეგაცია დიდი ვეზირის დამედ-ფერიდ-ფაშის მეთაურობით. დელეგაცია პარიზში წავიდა.

**იტალიის ახალი კაბინეტი.**

რომიდან იუწყებიან: იტალიის ახალი კაბინეტი საბოლოოთ შესდგა. შედგენილია კოალიციური სამინისტრო, რომელშიაც შევიდნენ ყველა მთავარი პარტიის წარმომადგენლები, გარდა დიდი სოციალისტურ პარტიისა. კაბინეტში შედის 4 რადიკალი, 2 სახალხო პარტიისა, 4 დემოკრატი, 3 ლიბერალი, მათ შორის ჯიოლიტი, 1 დამოუკიდებილი სოციალისტი, 1 სოციალისტ-რეფორმისტი, 3 სენატორი: სფორცა, სექკი და კროსი ითვლებიან ზომიერ ლიბერალად: პრემიერი და შინაგან საქმეთა მინისტრი ჯიოლიტი, საგარეო საქმეთა მინისტრი სფორცა, ახალშენების —როსსი, იუსტიციის—ფერა, ფინანსების—ტედესკო, ხაზინის—მედა და სამხედრო—ბანომი.

**გერმანიის მომავალი კაბინეთი.**

გერმანიის ცენტრის ლიდერმა ტრემბონმა პრეზიდენტ ებერტის დახმარებით წინადადება მისცა პარიზში მყოფ გერმანიის რწმუნებელს მაიერს აიღოს კანცლერობა, მაგრამ მაიერმა უარი განაცხადა. კაბინეტში შევლენ დემოკრატები, ცენტრიდან და ბავარიის სახალხო პარტიის წევრები.

ტრემბონი მისწრაფის შეადგინოს ისეთი სამინისტრო, რომელიც სპის კონფერენციიდან შესაძლებელ შედეგების გამოტანის შემძლე იქნება.

**ომში დახოცილნი.**

სამხედრო სამინისტროს სტატისტიკური ცნობები საბოლოოდ იმუშავებს ომში დაღუპულთა რიცხვს. დახოცილია 1,358,872 კაცი. აქედან მარტო პარიზს ხვდება 361,854 კაცი.

**გერმანიის ჯარის შემცირება.**

გერმანიის განიარელების კომისიამ მოუწოდა მთავრობას მოითხოვოს გერმანიის ჯარის შემცირება 100,000 კაცამდე.

# სომხეთის პრეტენზიები ბათომის ოლქზე

საბერძნეთის მისიის ცნობით, ნუბარფაშას განუცხადებია შემდეგი: „ინგლისის საქმეში ჩარევის შემდეგ მდ. ჭოროხის მარცხენა ნაპირი გადაეცემა სომხეთს. მდინარე ჭოროხი იქნება საზღვარი, რომელიც გაჰყოფს საქართველოს სომხეთისაგან. სომხეთის პორტი შავი ზღვის პირად ბათომის ახლოს გაკეთდება. სომხეთი ისევე, როგორც ადერბეიჯანი, ისარგებლებენ ბათუმში თავისუფალ ტრანზიტის უფლებით. ეხლა ჩვენი ზრუნვის საგანს შეადგენს ჭოროხის ხეობიდან ყარსამდე რკინის გზის გაყვანა“.

# ახალი ამბები

**სასურსათო თათბირი.** ქალაქის გამგეობაში შესდგა საგანგებო თათბირი ცნობილ საზოგადო მოღვაწეთა მონაწილეობით თფილისში სასურსათო საკითხის საქმისა და სასურსათო განყოფილების მოქმედების შესახებ თათბირმა აღნიშნა დადებითი შედეგები სასურსათო განყოფილებისა, რომელიც მცხოვრებთა უფრო და უფრო ფართო წრეებს აწვდის იაფ და კარგი ღირსების პროდუქტებს. ამასთანავე აუცილებელ საჭიროებად იქნა ცნობილი ქალაქის სასურსათო განყოფილების მოქმედების გაფართოვება და ამიტომ გადასწყდა ეხლავე აღძრან შუამდგომლობა მთავრობის წინაშე, რათა თფილისის ქალაქის თვითმართველობას მისცეს უპროცენტო სესხი სასურსათო განყოფილების ოპერაციების გასაფართოებლად.

**ბენზინის განაწილება.** სათბობ მასალის განმანაწილებელ ბიუროში შოფერთა კავშირიდან შუამდგომლობა შევიდა, მიეცეს მათ უფლება ავტომობილებით მუშაობის იმ პირობით, რომ თავის საჭიროებისათვის ბენზინი თერგის ოლქიდან შემოიტანონ. ბიურომ დაადგინა: შოფერთა კავშირის შუამდგომლობას მხარი დაუჭიროს გენერალ-გუბერნატორის წინაშე იმ პირობით, რომ მთელი ბენზინი, რომელსაც შოფერები მოიტანენ,—იქნეს აღრიცხული და შემდეგ თანდათან მიეცეს იგი შოფერებს იმდენი, რამდენიც დღე-ღამეში 7 ავტომობილს ეყოფა.

**დახმარება სტიქიურ უბედურებისაგან დაზარალებულთ.** აგრარულ კომისიაში მიღებულ იქნა მიწათ მოქმედების სანისტროს დეკრეტის პროექტი ხაზინიდან 10 მილ. მანეთის გადადების შესახებ, რომელიც აუცილებელია სტიქიურ უბედურებისაგან აღმოსავლეთ საქართველოს ზოგიერთ მაზრის დაზარალებულ მცხოვრებთა დასახმარებლად, მიწათ-მოქმედების სამინისტრო თავის მოხსენებაში აღნიშნავს თელავის, ბორჩალოს და სიღნაღის მაზრების მძიმე მდგომარეობას, რომელნიც 23 და 29 მაისს დაზარალდნენ სეტყვისაგან. ზარალის გამოსარკვევად სამინისტრომ ადგილობრივად აგრონომები გაგზავნა, რომლებსაც ევალებათ დაზარალებულ რაიონების დათვალიერება. შემდეგ მინისტრი თავის მოხსენებაში აღნიშნავს, რომ შარშანდელმა მოუსავლობამ და სურსათზე ფასების ძლიერმა აწევამ მიწების დამუშავების საქმეში გლეხები აიძულა მაქსიმუმამდე აეყვანათ თავისი შრომის უნარი და მართლაც, გაზაფხულისთვის ამ რაიონებში არც ერთი დაუმუშავებელი ნაჭერი მიწა არ იყო დარჩენილი. მძიმე გავლენას ახდენს მცხოვრებლებზე სტიქიური უბედურებისაგან გამოწვეული ზარალი. საჭიროა დაუყოვნებლივი დახმარება მთავრობის მხრივ, რათა აღდგენილ იქნეს მიწების დამუშავება. მიწათმოქმედების სამინისტრო უკვე თავის ინიციატივით გამოეხმაურა მცხოვრებთა საჭიროებას და გამოართვა რა სესხის სახით მომარაგების სამინისტროს 3 მილ. მანეთი, გადასცა იგი თელავის ერობას, რომ უკანასკნელს შეეძინა საადრო სიმინდის თესლი და იგი დაზარალებულ მცხოვრებთათვის დაერიგებია. აგრონომებს გარდა ამ რაიონებში მცხოვრებთა ზარალის რაოდენობის დეტალურ გამოსარკვევად გაგზავნილია სტატისტიკოსებიც. შემდეგ მიწათმოქმედების სამინისტრო იძლევა ვრცელ ანგარიშს იმისას, თუ რამდენი სათესი მასალა დასჭირდება სამი მაზრის მცხოვრებლებს.

**დახმარება სახელმწიფო მუშებს.** მიწად მოქმედ. სამინისტრომ მომარაგების სამინისტ. აღძრა საკითხი საქარის სანერგის მუშებისა და ვაჭევის სახელმწიფო მუშებისადმი სასურსათო დახმარების შესახებ. მომარაგების სამინისტრომ მუშებს უკვე გადასცა ფქვილი და სხვა სანოვაგე.

**გზათა მიმოსვლის დეპარტამენტის** დირექტორ ინჟ. ბ- ქიქინაძის წინადადებით რკინის გზის სამმართველო შეუდგა საქართველოსა და საბჭოთა რუსეთს შორის რკ. გზის შესახებ დასადებ კონვენციის პროექტის შემუშავებას. ჯერ იმუშავებენ კონვენციის საერთო დებულებას, შემდეგში დაამუშავებენ საკითხს მგზავრთა მიმოსვლისა და ბარგის გატან-გამოტანის შესახებ.

**ინვალიდთა საერთაშორისო ყრილობა.** 16 ივნისს ხარკოვიდან თფილისში მოვიდა საერთაშორისო ომის ინვალიდთა ყრილობის მომწვევი საორგანიზაციო კომისია, რომელიც დასავლეთ ევროპაში მიდის ინვალიდთა საერთაშორისო ყრილობის მოსაწვევათ. ამ კომისიას მიზნათ აქვს აგრეთვე ევროპაში ყველა ინვალიდთა მიმართ დახმარების შესწავლა. ცნობებისათვის სთხოვენ მიმართონ თფილისის ინვალიდთა კავშირის საშუალებით კომისიის თავმჯდომარეს.

**საავათმყოფო კასების რწმუნებულთა კრება.** კვირას, 20 ივნისს, დილის 10 საათზე ცენტრალურ მუშათა კლუბის შენობაში (პლეხანოვის ქუჩა, № 123) დანიშნულია საავათმყოფო კასების რწმუნებულთა საერთო კრება. რწმუნებულთა დასწრება სავალდებულოა. განსახილველია შემდეგი საკითხები: 1) კასის ფულის ანგარიშები 15 ივნისამდე, 2) 1920 წლის მეორე ნახევრის ხარჯთაღრიცხვა, 3) კასის მონაწილეთა ცოლებისათვის სამშობიარო და მათი ოჯახის წევრთა დასამარხი დახმარების გადიდება, 4) მშობიარეთათვის დახმარების გადიდება, 5) დახმარების გადიდება იმ მუშა-მოსამსახურეთათვის, რომელნიც სანატორიაში წამლობას და გაძლიერებულ კვებას საჭიროებენ, 6) საექიმო დახმარება კასის მონაწილეთ, 7) ინსტრუქტორთა კურსები და 8) მიმდინარე საქმეები.

**სახელმწიფო უნივერსიტეტში.** დღეს, ივნისის 19-ს, საღამოს 8 საათზე, ბოტანიკის აუდიტორიაში აგრონომბუნებისმეტყველ სტუდენტთა სამეცნიერო-საექსკურსიო წრის გამგეობა იწვევს წრის წევრთა საერთო კრებას.

**ნაძალადევის გ. პლეხანოვის სახელობის** მუშათა კლუბში კვირას, 20 ივნისს, შუადღის 12 ს. მე2—ე ქალაქის ირაკლი წერეთლის სახელობის სკოლის მშობელთა წრის გამგეობა მართავს ლექციას ამავე სკოლის ღარიბ მოწაფეთა სასარგებლოთ. ვაჭრობა-მრეწველობის და ფინანსთა მინისტრის მოადგილე პროფესორი სიმონ ავალიანი გააკეთებს მოხსენებას საქართველოს თანამედროვე ფინანსიურ და ეკონომიურ მდგომარეობაზე. ბილეთების ფასი 50—10 მანეთამდე.

**საგეოლოგიო ექსკურსია.** კვირას, ივნისის 20-ს საქართველოს მუზეუმის დირექტორის ნოე ყიფიანის ხელმძღვანელობით გაიმართება საგეოლოგიო ექსკურსია თელეთის ქედზე და ორთაჭალის მიდამოებში. ექსკურსიაში მონაწილეობის მსურველნი უნდა გამოცხადდნენ კვირას, დილის 7 ს. საქართველოს მუზეუმის შენობაში (ლორის-მელიქის ქ. № 10). ექსკურსანტები გამგზავრების წინ მოისმენენ ბ-ნ ყიფიანის მცირეოდენ განმარტებას თელეთის ქედის და ორთაჭალის მიდამოების შესახებ.

**მაღაროთა დათვალიერება.** სამთო სამმართველოს უფროსი ინჟინერი ყიფშიძე და საოლქო ინჟინერი ცეტლინი გაემგზავრენ ჰტაში ქარხნისა და მაღაროების დასათვალიერებლად და აგრეთვე იმ კომისიაში მონაწილეობის მისაღებად, რომელიც საქ. რკ. გზ. თუჯს აბარებს.

**სიმინდის თავისუფლად გატანა.** შინაგან საქმეთა სამინისტრომ აფხაზეთის კომისარიატს აცნო, რომ მთავრობის დადგენილების თანახმად სიმინდის ყიდვა-გაყიდვის უფლება რესპუბლიკის საზღვრებში ეძლევა ყველა ქალაქსა და ერობასო.

**ფრონტისთვის.** ჟურნალისტების კავშირის გამგეობის მიერ გამართულ „ლიტერატურულ სასამართლოზე“ 16 ივნისს ანტრაქტის დროს ფრონტის სასარგებლოდ 22 ათას მანეთზე მეტი იქნა შეგროვილი.

**ცენტრალური სტატისტიკური კომიტეტი.** ცენტრალურ- სტატისტიკური კომიტეტი უკვე შეუდგა 1917 წლის სასოფლო-მეურნეობის აღწერის ცხრილის გამოცემას. ამ წიგნში აღნიშნული იქნება ყოველი სოფლის კომლის და მცხოვრებთა რიცხვი, რომელიც დაყოფილი იქნება ეროვნების მიხედვით. აღნიშნული იქნება სათესი მიწების, სამუშაო საქონლის, ძროხების და სხ. რაოდენობა. ამავე წიგნში იქნება საიჯარო მიწების რაოდენობა და სხ. წიგნი აგვისტოში გამოვა.

**სომხეთის ამბები.** 18 ივნისს სომხეთის დიპლომატიურმა მისიამ ერევნიდან შემდეგი დეპეშა მიიღო: „უკანასკნელ დღეებში სომხეთის მტრების აგიტაციის გავლენით ისევ გახშირდა ზანგი-ბასარის თათრების აქტიური მოქმედება. მრავალ ადგილას ჩვენ საყარაულო პოსტებზე თავდასხმა დაიწყეს. გუშინწინ და გუშინ ზანგი-ბასარელებმა დამცველ ყარაულებს სროლა აუტეხეს. მოკლული და დაჭრილია რამდენიმე ჯარისკაცი. მთავრობა იძულებულია მიიღოს გადამწყვეტი ზომები“.

**აფთიაქებში მომუშავეთა საერთო კრება.** კვირას, 20 ივნისს, დილის 11 ს. კავკასიის სამედიცინო საზოგადოების დარბაზში (პუშკინის სახელობის სამკითხველოს ზევით) დანიშნულია კრება თფილისის აფთიაქ. მომუშ. პროფესიონალურ კავშირისა. გასარჩევია 1)—კონფლიქტი კავშირის გამგეობაში ივნისის 13 მომხდარ საერთო კრებისაგან ფრონტის შესახებ გამოტანილი გადაწყვეტილების შეუსრულებლობის გამო. 2) მიმდინარე საკითხები.

**ფქვილი თფილისისათვის.** რკ. გზის სამმართველოში ცნობები მოვიდა იმის შესახებ, რომ 17 ივნისს ბათომში მოსულა ამერიკის გემი და მოუტანია 500.000 ფუთი ფქვილი. ფქვილის თფილისში ჩამოსატანად საჭიროა ყოველდღე 70 ვაგონი. 18 ივნისს ეს ვაგონები ბათომის სადგურზე იყო. ამასთანავე რკ. გზის ექსპლოტაციის უფროსმა გ. აბელიშვილმა განკარგულება გასცა, რომ ფქვილი ბათომიდან თფილისში გადმოიტანონ სამარშრუტო მატარებლებით. ეს ფქვილი გამოაქვთ ამერიკის მისიის ნებართვით.

**აფთიაქებში მოსამსახურეთა მისალმება ფრონტზე.** აფთიაქებში მოსამსახურეთა პროფესიონალურ კავშირის საერთო კრებამ ამხ. ბაქრაძის მოხსენების შემდეგ შემდეგი რეზოლიუცია გამოიტანა: ქალ. თფილისის აფთიაქებში მოსამსახურეთა პროფეს. კავშირის საერთო კრება მიესალმება საქართველოს ძვირფასს და მშრომელ კლასის საყვარელ ქართველ ჯარს და სახალხო გვარდიას, რომლებიც რესპუბლიკის სხვადასხვა ფრონტებზე თავისი სისხლით იცავენ საქართველოს თავისუფლებას და დამოუკიდებლობას. კრება მხურვალე სალამს უძღვნის მათ და პირობას იძლევა, რომ მთელ თავის ძალას იგი ფრონტის გაძლიერებას მოახმარს და ამასთანავე ადგენს: ნიშნათ ფრონტის მხარის დაჭერისა თავის წევრებს შორის შეაგროვოს ერთდროული დახმარება ნახევარი დღის შრომის ხელფასის სახით. ამავე კრებამ დაადგინა დაუყონებლივ მოითხოვოს ფასების გადასინჯვა, ბაზარზე შრომის კანტროლის დაწესება, სპეკულიანტების წინააღმდეგ ზომების მიღება და სატარიფო პალატაში პარიტეტის შეცვლა.

**კ რ ე ბ ე ბ ი.**

დღეს, საღამოს 6 ს. დანიშნულია ქალთა ბიუროს კრება მეორე რაიონის კოლექტივის ბინაზე.

— დღეს, 19 ივნისს, დილის 11 ს. ბიუროს ბინაზე დანიშნულია სრ. საქ. მასწ. კავშირის საბჭოსა და აღმ. საქ. საშ. სასწ. მასწავლებელთა კავშირის გამგეობის შეერთებული სხდომა.

**პროვინციის ქრონიკა.**

**სოფ. ზემო-ავჭალა.** შაბათს, 19 მარტს მცირე წლოვანთა ახალშენის შენობაში ადგილობრივი კულტ. განმ. საზ: „განთიადის“ გამგეობა მართავს ფრონტის დღეს.

# წერილები ფრონტიდან

1.

ღამე იყო. კარგი დარი იდგა. ერთი ფრონტიდან მოვიხსენით. ფეხით გასავლელი რამოდენიმე ათეული ვერსტი გვქონდა. არც ერთ ჩვენთაგანს არ აფიქრებდა მანძილის სიშორე, ყველას ეჩქარებოდა.

აქა იქ გაისმოდა ხმები: „ეხლა ოსები აუტანია წერას, ერთი მათაც უნდა ვაგრძნობინოთ, რომ ჩვენთან ბრძოლა მათ იაფათ არ დაუჯდებათ“-ო.

სიცილ-ხუმრობით, სიმღერით გავდივართ რამოდენიმე ვერსტს.

შუაღამისას ცა მოპირქუშდა, შავმა ღრუბლებმა დაჩრდილა ღამის სინათლე. ბნელა. ხან-გამოშვებით ელავს. წვიმის წვეთები ნელ-ნელა ეფრქვევა დედა-მიწას. ნახევარი გზა გავლილი გვაქვს, წვიმა თანდათან მატულობს. ნახევარ საათში კი სურათი იცვლება. აღმოსავლეთის ქარმა დაბერა, ღრუბლები გაფანტა, მთვარის სინათლემ გზა გაგვინათა. დასველებული ხალხი გზაშივე შრება. დილით ადრე ყველანი სადგურზე ვართ.

განკარგულება: ვაგონები საჩქაროთ დაიტვირთოს.

საღამო ხანს, მეორე დღეს, დანიშნულ სადგურზე მივედით. ის ღამე ვაგონებში გავატარეთ. შუა ღამისას კვლავ კოკის პირულ წვიმა. დილამდის იწვიმა. დილით ჯარი მოეწყო, დაირაზმა და გავემგზავრეთ. ლიახვი და ახლო მდებარე მდინარეები ადიდებულიყო, ნაპირიდან გადმოსული. ექვსი ვერსი წყალში ვიარეთ. ჩვეულებრივ მუშაობა, სიცილ-სიმღერა მაინც არ სწყდება. ეტლით ჩამოგვიარა დამფ. კრების წევრმა ამხ. ვლასა მგელაძემ და ადგილობრივმა კომისარმა. სოფელში მივდივართ ხალხის გამოსაწვევათ. წყალი გვინდა გადავაგდებინოთ. ბედი არ გქონიათ, რომ ასეთ დროს მოგზაურობა მოგიწიათო,—გადმოგვძახა ვლასამ. „ბედი ჩვენ კი არა, ოსებს არ ქონიათ,—ვინც ჩვენ არ გვასვენებს კარგი დღე არც მათ დაადგებათ. ადერბეიჯანიც ფიქრობდა გავწითლდებით და ავშენდებიო,—მაგრამ გაწითლებას მათი გაშავება და დაქცევა მოყვა, ოხუნჯობით მიუგო გვარდიელმა. გლეხი, რომელიც თავის პურის ყანას გარშემო თხრილს უვლებდა, გაკვირვებული შემოგვყურებდა და მეორე თავის მეზობელს ეუბნებოდა: ერთი ამათ შეხე წყალში როგორ მიდიან და იცინიან კიდევაცო. შუადღისას მივედით სოფელ კარალეთში. იქ დავისვენეთ, ვისადილეთ და შემდეგ ისევ გზას გავუდექით. მზის ჩასვლისას სოფ. ტყვიავში ვიყავით. ცოტა იქ შევისვენეთ და შემდეგ დავნაწილდით: ნაწილი მთებზე გავედით სადარაჯოზე, ნაწილი კი, სოფ. ფლავისმანში დაბანაკდა (ეს სოფელი გარშემორტყმულია ოსების სოფლებით). მიუხედავათ იმისა, რომ ხალხი ძალზე დაღლილია, სადარაჯოებზე მაინც ფხიზლად დგანან. პაპიროსის ცეცხლსაც ვერ დაინახავთ. მხვერავი რაზმი შეუდგა მოქმედებას. უკან დარჩენილებში კი ადგილობრივ სოფლელებთან ერთად ცეკვათამაშს შექცევიან. სოფლელებს ჩვენი მისვლა ძალზე გაეხარდათ.

ერთი დღე აქ დავისვენეთ და მეორე დილას გადავედით შეტევაზე. სრული სიმშვიდით გადადიოდა ჯარი ერთი ადგილიდან მეორეზე, მისდევდა მტერს და უწყლოდ ცოცხლათ მათი ხელში ჩაგდება. მტრის თოფებიდან და ტყვიისმფრქვეველებიდან გამოსროლილ ტყვიას ერთი წუთითაც არ შეუჩერებია ჯარის წინ სვლა. მოსაზღვრე ქართველებმა გადმოგვცეს: ცხინვალის აღების შემდეგ ჩვენი სოფლებიდან გამოგვერეკეს. ჩვენ სახლ-კარს, ნახირს და სარჩოსაბადებელს ისინი დაეპატრონნენ.— მათ ხელმძღვანელობს მთავრობის მამასახლისათ ნამყოფი—ურიადნიკი ვინმე ვასოო.

ორი-სამი საათის შემდეგ სროლა მთელ ხაზზე შესწყდა. ჩვენს ხელთ იყო ცხინვალი და მის გარშემო მდებარე მაღლობები. ხელთ ვიგდეთ ტყვიისმფრქვეველები და რამოდენიმე ტყვეც წამოვიყვანეთ... **გრ. მახარაძე.**

2.

**ფრონტიდან დაბრუნებულ გმირებს**

მოვდივართ გამარჯვებულნი<br>ძლევა-მოსილი ალმებით,<br>სასიხარულო გუგუნით<br>სამშობლოს მივესალმებით.

———

სამშობლოვ, ძერა მოვკალით,<br>მტაცებლის ნუ გეშინია;<br>ნუ გეშინია მტრის შებმა,<br>ომი ხომ ჩვენი ლხინია.

———

მაშ იხარებდე სამშობლოვ,<br>ჩვენო აღმზრდელო დედაო;<br>ვაი მას, შენი დაპყრობა<br>თუ ვინმემ გაგიბედაო.

———

თქვენ კი გახსოვდეთ ვაჟკაცნო,<br>სამღთო ფიცი და პირობა:<br>სამშობლოს სადიდებლათ<br>გამოვიჩინოთ გმირობა.

———

წინ, მედგრათ ძმათა ლაშქარო,<br>მტერს წინ დაუხვდეთ მტრულადა;<br>ან გავწყდეთ ცხარე ბრძოლაში,<br>ან გავიმარჯვოთ სრულადა!

სიღნაღის ბათალიონის გვარდიელი

**იროდიონ სულხანიშვილი.**

# საქართველოს ს. დ. მ. პ. მეორე ყრილობა

**16 ივნისი, დილის სხდომა.**

თავმჯდომარეობს ალ. ლომთათიძე. განსახილველია კონსტიტუციის პროექტი.

**რ. არსენიძე** (მომხსენებელი) ვრცლად ეხება ძირითად პრინციპებს, რომელზედაც არის აგებული კონსტიტუციის პროექტი და აყენებს საკითხს: როგორი უნდა იყოს ძირითადი საფუძველი იმ პოლიტიკური სახელმწიფოსი, რომლის სოციალისტურათ გარდაქმნა შემდეგ შესაძლებელი გახდეს? ტიპიური ორგანიზაცია მუშათა სახელმწიფოსი უნდა გამოდიოდეს იმ პრინციპებიდან, რომელსაც ეყრდნობოდა პარიზის კომუნა, უკანასკნელი კი დაფუძნებული იყო საყოველთაო საარჩევნო უფლებაზე. იქ დემოკრატიზმმა ჰპოვა უაღრესი განხორციელება. საბჭოთა რუსეთში კი დემოკრატიზმი დარღვეულია, სახელმწიფოს შენების საქმეში იქ მონაწილეობას იღებს არა მთელი ხალხი, არამედ—მხოლოდ უმცირესი ნაწილი. ჩვენს კონსტიტუციას საფუძვლათ უდევს პარიზის კომუნის ძირითადი პრინციპები, ჩვენი სახელმწიფოს მოქმედება არ უნდა განისაზღვრებოდეს მარტო პოლიტიკური დემოკრატიის შექმნით, ჩვენს სახელმწიფოს უნდა მიეცეს სოციალური ხასიათი, ელფერი, რომელშიაც უნდა იხატებოდეს მუშათა კლასის სახე, ინტერესები.

პირველი საფუძველი წარმოდგენილი კონსტიტუციისა არის ხალხის სუვერენობა: ყოველგვარი უფლების წყაროა ხალხი, რომელიც თავის უფლებას ახორციელებს პარლამენტის საშუალებით. პარლამენტი—საყოველთაო საარჩევნო სისტემით შედგენილი, ეს ხალხის მინიატურაა. შემდეგ მომხსენებელი განმარტავს, როგორც პოლიტიკურ წყობილებას, ისე სოციალურ ხასიათის კონსტიტუციისა. ვრცლად ეხება იმ მუხლებს, რომელნიც საერთოდ დავას იწვევენ სხვადასხვა ორგანიზაციებში.

ყრილობამ დაადგინა, რომ განიხილოს მხოლოდ ის ძირითადი დებულება და მუხლები, რომლებიც დავას იწვევენ. ასეთებათ აღიარებულ იქნა შემდეგი: დემოკრატიული რესპუბლიკა მუდმივი და უცვლელი ფორმაა, პრეზიდენტის სისტემა თუ უპრეზიდენტო რესპუბლიკა, ეროვნულ უმცირესობათა შესახებ, საარჩევნო ოლქი, სანაპირო საკითხი, რეფერენდუმის და მუშათა გაფიცვის საკითხები.

კამათი იმართება დემოკრატიული რესპუბლიკის, როგორც მუდმივი და უცვლელი ფორმის შესახებ. კამათში მონაწილეობა მიიღეს: მ. კლიმიაშვილმა, გოგუაძემ, ს. მაჭავარიანმა, ვ. თევზაიამ, პ. ბერიშვილმა, ნ. ჟორდანიამ, მ. ხოჭოლავამ და გრ. ურატაძემ. კამათში დაისახა ორი მიმდინარეობა: ერთი ამტკიცებდა, რომ საჭიროა ამ მუხლიდან ამოიშალოს სიტყვები მუდმივი და უცვლელი, ვინაიდან ამას არავითარი საჭიროება არ მოითხოვს და ფსიხოლოგიურათაც ცუდ შთაბეჭდილებას ახდენს დემოკრატიული რესპუბლიკის ფორმის უცვლელობა და მუდმივობა. დემოკრატიული რესპუბლიკა ვერ მოთავსდება სოციალისტურ რესპუბლიკის გვერდით. მეორე მიმდინარეობა ამტკიცებდა, რომ სიტყვები „უცვლელი“ და „მუდმივი“ წინააღმდეგი შეიძლება იყოს მხოლოდ მემარჯვენე, ან უკიდურესი მემარცხენენი (ბალშევიკები), რომელნიც წინააღმდეგნი არიან ხალხის ბატონობის, დემოკრატიის სუვერენობის და რომლებიც ელტვიან უმცირესობის გაბატონებას უმრავლესობაზე. დემოკრატიული რესპუბლიკის ფორმა თავის სიღრმეში თავისუფლად დაიტევს სოციალისტურ რესპუბლიკას, ვინაიდან სოციალიზმი უნდა იყოს უმრავლესობის გაბატონების პრინციპზე აგებულიო. ყრილობამ ხმის დიდი უმრავლესობით სიტყვები: „დემოკრატიული რესპუბლიკა არის უცვლელი და მუდმივი ფორმა“ დატოვა უცვლელათ. 1 საათზე სხდომა დაიხურა, რადგანაც ზოგიერთი დელეგატები, ქალაქთა წარმომადგენლების ყრილობას უნდა დასწრებოდნენ.

საღამოს და მეორე დილის სხდომაზე გაიმართა კამათი საკითხზე: პრეზიდენტი თუ უპრეზიდენტო რესპუბლიკა. კამათი მეტად საყურადღებო და შინაარსიანი იყო. კამათში მონაწილეობა მიიღო: ნ. ჟორდანიამ, აკ. ჩხენკელმა, გრ. გიორგაძემ, კ. ნინიძემ, ნ. იმნაიშვილმა, ბ. თევზაიამ, პ. საყვარელიძემ და სხ. კამათი ხვალინდელ ნომერში იქნება ვრცლათ მოთავსებული.

**შეცდომის გასწორება.** მე-132 ნომერში მოთავსებული იყო ჯარისკაცების სალამი ყრილობისადმი, რომელსაც ხელს აწერდნენ: არტემ ჩიჩუა, სადგიძე და ღლონტი. უნდა იყოს: **არტემ ჩაჩუა, თედორე სადრაძე და დ. ღლონტი.**

# ბათომი

15 ივნისს ღამით მილიციის საწყობიდან მთელი ღამე სადღაც მიეზიდებოდნენ იარაღებს. როგორც ვიცით, აღნიშნული დაწესებულება უმთავრესათ დენიკინელების ხელშია.

— 17 ივნისს, დილის 7 საათზე, ნავთსადგურში გემ „სვეტს“ ცეცხლი გაუჩნდა. როგორც გადმოგვცემენ, აღნიშნული გემი ამ დღეებში რუსებისაგან ინგლისელებს შეუძენია, რომლებსაც გემზე მოსამსახურენი დაუთხოვნიათ სალიკვიდაციოს მიცემით და მათ მაგიერ თავისიანები დაუნიშნავთ. გემი დატვირთული ყოფილა ნავთით, ბენზინით, ზეთით, ხამარ იარაღებით და სხვ. ამ დღეებში გემი აპირებდა ყირიმში წასვლას. ცეცხლის გაჩენისთანავე მივიდა ცეცხლის მქრობელი რაზმი, მაგრამ ჩაქრობა არ მოხერხდა. ქალაქისთვის რომ ზიანი არ მიეყენებია ცეცხლს, გემი ნაპირს დააშორეს. საღამოთი ცეცხლი კიდევ არ იყო ჩამქრალი. ნახევრად ჩაძირულ გემზე ცეცხლი თანდათან ძლიერდებოდა.

# ნეკროლოგი.

1.

**ამხ. ანტონ (ტუშა) ქილაშვილი.**

13 ივნისს ქ. ქუთაისში მიწას მიაბარეს ჩვენი ახალგაზრდა ამხანაგი, კიევის კომერციულ ინსტიტუტის მე-IV კურსის სტუდენტი, ანტონ ქილაშვილი.

მეგობრებმა და ამხანაგებმა დაკარგეს მასში იშვიათი, მაღალი ბუნების მქონე ახალგაზრდა და უანგარო პარტიული მუშაკი. რეალურ სასწავლებელში (ქუთაისში) კურსის დამთავრების შემდეგ ის შევიდა კიევის კომერციულ ინსტიტუტში, სადაც შესვლისთანავე მიემხრო ეგ. ნინოშვილის სახელობაზე დაარსებულ წრეს. ბუნებით ნიჭიერმა, გატაცებით მოჰკიდა ხელი თვითგანვითარებას. მალე ჩვენ წინ წარმოსდგა დაკვირვებული და მომზადებული ამხანაგი. 1917 წლის გადატრიალების შემდეგ აქტიურ მონაწილეობას იღებდა მოძრაობაში, მაგრამ იგი მალე ფილტვებ-დაზიანებული დაბრუნდა სამშობლოში. საკმარისი იყო დასვენება და თავის მიხედვა, რომ ის მორჩენილიყო, მაგრამ ეს მისთვის შეუძლებელი იყო, რადგან სამშობლოსთვის დადგა საბედისწერო ჟამი—ბათომის ტრაღედია და ისიც შევიდა ჯარში. მას შეეძლო, როგორც ავათმყოფს, თავი განთავისუფლებია, მაგრამ მან უარი განაცხადა კომისიაში შემოწმებაზე. ის მოწინავე პოზიციაზე იბრძოდა ბათომის ფრონტზე. აქ იგი ტყვეთ მოჰყვა, რამაც კიდევ უფრო გაართულა მისი ტანჯვა და წამება. მისი დასუსტებული ჯანი გატყდა და ტყვეობიდან ის დაბრუნდა მძიმე ავათმყოფი. შემდეგ თანდათან უარესად შეიქნა და ექიმების რჩევით შარშან გაგზავნილ იქნა წაღვერში, სადაც ხანგრძლივი ტანჯვის შემდეგ 9 ივნისს დალია სული.

მოკვდა ამხანაგი მუშა! მან გვიჩვენა შესანიშნავი მაგალიდი იმისა, თუ როგორ უნდა გვესმოდეს მოვალეობა სამშობლოს წინაშე. ეს-ღა დაგვიტოვა სანუგეშოთ მეგობრებს და ამხანაგებს.

მშვიდობით!..

**მეგობრები.**

———

**პეტრე ალხანაშვილი.**

19 ივნისს შესრულდება ერთი წელიწადი, რაც კუკიის წმ. ნინოს სასაფლაოზე მიწას მივაბარეთ რკინის გზის მთავარ სახელოსნოს მუშა პეტია ალხანაშვილი.

სიღნაღის სამოქალაქო სასწავლებლის გათავების შემდეგ პეტია ჩამოჰყავს თავის ბიძას ისაკოს თფილისში და 1905 წელს აბარებს შეგირდათ რკინის გზის მთავარ სახელოსნოში სამხატვრო განყოფილებაში.

შეგირდობის გათავების შემდეგ იქვე რჩება ოსტატის ალაგზე. პეტია ჯერ კიდევ ბავშვობისასვე დაეწაფა არალეგალურ წიგნების კითხვას და სახელოსნოში შესვლის უმალვე მხურვალე მონაწილეობას იღებდა პარტიულ მუშაობაში. პეტიას არ უყვარდა ბევრი ლაპარაკი, ის უფრო აქცევდა საქმიანობას ყურადღებას როცა თავის ამხანაგები შესთავაზებდნენ რაიმე საპატიო ალაგს, ის მაშინვე თავის უფროს ამხანაგებს წამოაყენებდა და იტყოდა ხოლმე, ჯერ მე კიდევ მაკლია მუშათა სკოლის გავლა“.

ბოლო წლებში იღებდა მონაწილეობას მუშტაიდის მუშათა კლუბში. ბევრი კარგი გაკეთდა მისი შრომით. თამაშობდა სცენაზედაც. ჰქონდა საუცხოვო ხატვის ნიჭიც. მიუხედავათ წვრილი ცოლშვილისა და ხელმოკლე ცხოვრებისა ის არ იშურებდა თავის შრომას არც ერთ ორგანიზაციისათვის.

მიუხედავათ თავისი ახალგაზრდობისა, მან დაიმსახურა საპატიო ყურადღება ამხანაგებ შორის და მისმა სიკვდილმა ყველა მისი ნაცნობ-მეგობრები მწარედ დაალონა.

X.

## დუშეთის მაზრაში

**ჟინვანი.**

საქართველოში თემები იმიტომ შემოიღეთ, რომ შესაძლებელი გამხდარიყო უშუამავლო თვითმართველობა, რომ სოფლის საქმეებს თვით სოფელი გასძღოლოდა და არ დასჭირებოდა წარამარა სირბილი სამაზრო ერობაში.

თემი უნდა ყოფილიყო სული და გული ჩვენი დემოკრატიული მართვა-გამგეობისა. ხალხი უნდა გადაგვეჩვივნა სხვის შემყურეობას და საკუთარს ძალებზე დაგვეენდო. ამ მოსაზრებიდან გამომდინარეობდნენ, რომ მაზრებში წვრილი ერთეულები გაამრავლეს, თითქმის სოფელს გაუთანასწორეს და თემის ტერიტორიის რადიუსი 5—5 ვერსზე დააყენეს.

დუშეთის მაზრას ასეთს ბედნიერებას აბა ვინ აღირსებდა? მიუხედავათ იმისა, რომ მაზრას უზარმაზარი სივრცე უჭერია და ქსან-არაგვ-თერგის ხეობებში გადაჭიმულია, იგი მარტო რვა საოემო ერთეულადაა გაყოფილი.

ზოგი თემის რადიუსი 30 ვერსს აღემატება. თვითეულ თემის სოფლები დაშორებულია ერთმანეთისაგან ძნელად გადასალახ მთებითა და ჩქარი მდინარეებით.

ხიდები ხშირი რომ ყოფილიყო, მაშინ შეიძლება ოდნავ მაინც გაღვივდებოდა ურთი-ერთი დამოკიდებულების გამოცოცხლება, მაგრამ ხიდები ძალიან იშვიათია და წყალ-დიდობის დროს მთლად მოწყვეტილი რჩება მთელი კუთხეები თემსაც და სამაზრო ცენტრსაც.

ერობის სამაზრო ხმოსანთა ყრილობამ, რომელიც არჩევდა მაზრის თემებად დაყოფის საკითხს, კარგად იცოდა ის უხერხულობა და სიძნელე რომელიც თემების რაიონის ასე გაფართოებას და მრავალ სოფლებით დატვირთვას მოჰყვებოდა, მაგრამ იგი აიძულა ეს გადაწყვეტილება მიეღო ორ საპატიო მოსაზრებამ: პირველი: კულტურულ ძალების უყოლობა. ჯერ ამ რვა თემისთვის ვერ გამოგვინახნია ხელმძღვანელები და ცხადია, რომ გაგვემრავლებინა თემთა რიცხვი —უარესს მდგომარეობაში ჩავცვიოდით: თემს თანამშრომლებს ვერ უშოვნიდით და იგი მარტო ქაღალდზე დაგვრჩებოდა.

მეორე მიზეზია მაზრის უმწეო ფინანსიური მდგომარეობა. ჯერ სამაზრო ერობას უჭირდება ხარჯების გასტუმრება, ვალიანდება და თემები რა სახსრით იარსებებენ? მაზრის მცხოვრებნი მცირე გადასახადსაც ძლივს იხდიან და ამდენ ერთეულთა შენახვა ხომ აუტანელი გაუხდებათ.

რა თქმა უნდა, ასეთი ვეება თემები ბევრს ვერაფერს გააკეთებდნენ ყველა სოფლებისთვის. ახლაც იგივე უმწეობა, როგორც წინეთ, საცა შევდივარ ყველგან შემომჩივიან: ჩვენ ისევ უპატრონონი ვართ, არ იქმნა, არ გვეღირსა არც გზის შეკეთება, არც სკოლის სათანადო დონეზე დაყენება, არც ადმინისტრაციის გაჯანსაღება და არც სურსათით მომარაგებაო.

გასაკვირველი არ არის ყველაფერი ეს იმიტომ, რომ სოფელს თავისი მმართველი ორგანო არა აქვს, თემი კი ნებაუნებლიეთ ისევ ზედ-ნაშენ, მბრძანებელ ცენტრად ხდება, სადაც ქაღალდი ბევრი იწერება, საქმე კი ცოტა კეთდება.

ერთს ასეთს უშველებელს ერთეულს წარმოადგენს ბაზალეთის თემი.

ამ თემს მუშაობა ჯერ არ დაუწყვია. ერობა ბევრს ეძებს თემის გამგეობისთვის წევრებს მაგრამ ვერა შოულობს.

თუნდა შემდგარიყო გამგეობა მაინც დიდს ვერაფერს გააკეთებდა.

მისი სოფლები: გრემისხევი და ყვავილი, ხორხი და ბაზალეთი, ბულაჩაური და ჟანვანი, ნოჯა-ნოჯიკეთი და თვალივი, ანანური და საკრამული და სხვა და სხვა. ისეა ერთი მეორეს დაშორებული მთებით, ხევ-ხუვ-მდინარეებით, რომ, მათი შემოვლა რომ გინდოდეს— როგორც რუსები იტყვიან: **хоть три года скачи, не доскачешь.**

დიდს საბზადისს უნდა შეუდგეს კაცი, თუ უნდა სარაიონო და ახლა სათემო კანცელარიაში წასვლა.

ცხადია, ასეთი თემი არაა მცირე ერთეული და ვერ გახდება იმ მტკიცე საფუძვლად, რომელზედაც უნდა დაეყრდნოს ჩვენი ერობაცა და სახელმწიფოც.

ასეთ უზარმაზარ თემის ერთ ფართო ნაწილს წარმოადგენს ჟინვანის საზოგადოება,

ამ საზოგადოებაში შედიან, როგორც ბარელები, ისე მთიულები და ფშავლები. ყველა მათი სოფლების წარმომადგენლების ყრილობა დავნიშნეთ სოფელ ჟინვანში. ეს ხალხი მთიულია, ცხვრებში ატარებს დროს, ძნელად იცლის საზოგადო საქმეებისთვის და ასეთი დიდი მიტინგი მათთვის უჩვეულო იყო.

— ნეტა რა ღვთის წყალობა მოგვიტანეს მოყვრებმაო,—ამბობდენ ჩვენზე. ისე სასოებით გვისმენდნენ, თითქოს ჯიბეებში კაი-კაი ხოდაბუნ-ახოები გვქონოდა და ის უნდა დაგვერიგებინა მათთვის.

„მიწა და სურსათი“.—აი რა აწუხებდათ, რაზე ფიქრობდნენ და რას გამოელოდნენ ჩვენგან. სალაპარაკო ბარემლაც ბევრი გვქონდა, მაგრამ იგინი ვერ ითმენდენ და ისევ ამ საკითხზე გადავყვანდით. მთიულ-ფშაველები მიყუჟულნი არიან მთის ქედებზე, სახნავ-სათესი ძნელათ მოეპოვებათ, მისატრიალ-მოსატრიალებელი არა აქვთ, უსურსათობა მუდამ აწუხებს და ავალალებს.

— გვეყო კლდეებზე ცხოვრება,—ახლა გადავინაცვლოთ, ბარელები ჩვენს ადგილას ამოვიდნენ,—ჩვენ ძირს ჩამოვალთო.

იციან, რომ ახალციხე-ალაგირში შეიძლებოდა გადასახლება, მაგრამ ეშორებათ და ნირის შეცვლისაც ეშინიანთ...—ვაი თუ ვერ შევეწყოთ იქაურობას, დაგვცადოს, დავიღუპნეთო.

ამ საზოგადოებაში, ისევე, როგორც მაზრის მთიან ადგილას, მიწის რეფორმის გატარებაზე ლაპარაკი უხერხული ხდება. აქ ერთი-ორა მემამულე იყო ფრიად შეძლებული და მათ ჩამოერთვა ნორმის ზევით. აბა რას გასწვდებოდა ეს ჩამორთმეული იმდენ უმიწა-წყლო გლეხებს. აქაურ მკვიდრთა დიდ უმრავლესობას ორი-სამი დღიურიც დიდ სიმდიდრეთ მიაჩნიათ და უკმაყოფილებას აცხადებენ, იმის გამო, რომ მემამულეებს შერჩათ თხუთმეტ-თხუთმეტი დესეტინა.

ეს რა ნაირი რეფორმაა როცა მიწები ისევ მემამულეებს უჭირავთ და ისევე საერთოთ და საიჯაროთ გვიხდება საქმეო. რაკი მიწები ისე ვერ მიიღეს, როგორც ქართლ-კახეთში—აქ ერთმანეთის დავაში არიან და საკმარისია 5—6 დღიური მიწა ჰქონდეს რომელიმე გლეხს, რომ შეეცილნენ. ხდება ისეთი ამბავი, რომ გუთანი შეაქვთ და ძალით მითვისებას უპირებენ სხვის საკუთრებას.

საფონდო მიწები თუ რამ იყო, იმათ ულუფად გამხდარა, ვისაც ხარ-კამეჩი ჰყავს და შესწევს თავ-ხედობა-ძალმომრეობა.

უმიწაწყლონი კი ცარიელზე სხედან და მოსთქვამენ თავიანთს სიბეჩავეს.

უსურსათობა, როგორც შარშან, ისე წელსაც ძალიან აწუხებს ხალხს, ალაგალაგ მარტო მხალითა და ბალახ-ბულახით იკვებებიან.

მიუხედავად ასეთი უმწეო მდგომარეობისა, ყრილობამ გულდასმით მოისმინა ჩვენი ფრონტის ამბები და შემოგვფიცა, რომ არავის შეალახვინებს სამშობლოს და თუ საჭირო შეიქმნა ქუდზე კაცი გამოვა დუშმან მტრის მოსაგერებლად.

ორიოდე სიტყვა ჟინვანის ისტორიულ წარსულზე. ჟინვანი ოდესღაც ქალაქი იყო და ძველის ძველადაა აშენებული მისი ციხეები. ბევრი უბედურება გადაჰხდომია თავს, მაგრამ ყველაზე მეტად მოხრდა არაბების შემოსევის დროს მეშვიდე საუკუნეში. ისტორიკოსი ჯუანშერი გადმოგვცემს, რომ არაბთა ამირამ მურვან-ყრუმ „მოვლო კავკასია და დაიპყრა კარი დარიალანისა და შემუსრა ყოველნი ქალაქნი და უმრავლესნი ციხენი“...

ჟინვანიც გაცამტვერდა მის მიერ, მაგრამ ძლიერ, იყო ქართველ ერში სიცოცხლის წყურვილი და მალევე აღდგა ფენიქსებრ განახლებული. მეთორმეტე საუკუნეში იგი ჩაბმული იყო გაცხოველებულ მოქალაქობრივ პოლიტიკურ ცხოვრებაში და თამარის მეფობის შარავანდედი ამშვენებდა ბროლისავით წმინდათ ნაგებ კოშკის თალ-სვეტებს.

სამწუხაროდ თამარის შემდეგ დიდხანს არ გაგრძელებულა ქალაქ ჟინვანის მშვენიერი კულტურული მუშაობა. დაეკანა საქართველო უბედურების დაღმართზე და სხვა ქალაქებთან ერთად მან წარიღანა, და წარიტანა ჟინვანის მორჭმულობა და დიდებაც.

დღეს მარტოოდენ ნანგრევები ღა მოსჩანან ოდინდელ მაღალ კულტურისა.

მე დავათვალიერე დაცარიელებული ციხე-კოშკები და ნანგრევები, ვნახე მრავალი აკლდამები, საცა ნაცრდებიან უკანასკნელი ნაშთნი ადამიანთა ძვლებისა.

მოწიწებით გავჩერდით თვითეულ ლოდთან, რომელნიც მოწმენი არიან საქართველოს აყვავებისაც და დაცემისაც, ზეიმისაც და დაქვრივებისაც და მე მეგონა იგინი მეუბნებოდნენ:

— მოგზაურო, წუთით მოგვაჩერდი ყურადღებით. ჩვენ მატიანე ვართ შენის წინაპრებისა. ჩვენ ძსოები ვართ დიად წარსულის. დრო-ჟამი უწყალოდ გვშლის, გვაქრობს, გვსპობს აღუდგენელად. მოგვხედეთ, ჩაუდგით სული ჩვენს ნახევრად წაშლილს მატიანეს. განახლების სიმღერის მძახილით დაარღვიეთ მტანჯავი დუმილით გაყინული ჩვენი სიზმარი... გვგვაახლეთ და აღგვაღორძინეთ ისე, როგორც ძველად ვყვაოდით და ვშვენოდით კულტურებრივ გაზაფხულით.

მე უგდებდი ყურს და ვანუგეშებდი:— სასოს ნუ წარიკვეთთ წმინდა ადგილნო!.. განსაკუთრებული კუთხეა საქართველო, ბევრჯელ გაუთანგნიათ იგი საუკუნო მონობის გვირაბებში, მაგრამ ჩამოურეკნია ზღვევის ზარს და განთავისუფლებულა იგი ტყვეობისაგან.

დროთა დენის ღვართქაფმა წაშალა მრავალი ერი დედამიწის რუკიდან— საქართველო კი უხსოვარ დროიდან სცოცხლობს და იცოცხლებს მარადის.. წინეთ ერის ცხრამეთედი დამონებული იყო, უფლება ახდილი, მაგრამ შესძლეს. ამ ფას დაუდებელ კოშკ-ციხეთა და ბჭე განიერ ქალაქთ გაშენება—მით უფრო ფრთებს გაშლის ქართველ ერის გენია და სრულებას მიაღწევს მის საზოგადოებრივ აღმშენებლობის ხუროთმოძღვრება დღეს, როცა თავისუფალია მთელი საქართველო და მშობლის ნანასავით ტკბილია, მოალერსეა მისი ფრთა კისკასა სიმღერა გაწუვენებელ სიხარულისა და ბედნიერებაზე.

**დ. თურდოსპირელი.**

## ხელოსნების გაგზავნა ევროპაში

პროფ. კავშ. საბჭოს ერთი დიდი და სასარგებლო საქმე გადაუწყვეტია: ხელოსანი მუშების ევროპაში გაგზავნა თავისი დარგის გასაუმჯობესებლად. ეს საკითხი დიდი ხანია აღძრულია და მთავრობამაც პრინციპიალურად დადებით გადასწყვიტა ეს, მაგრამ აქამდე საპატიო მიზეზებისა გამო ვერ მოხერხდა გადაწყვეტილების სისრულეში მოყვანა. ეს საპატიო მიზეზები, როგორც ეტყობა ჩვენი ცხოვრების მიმდინარეობას, მუდამ იქნება სხვადასხვა სახით, ამიტომ მე მგონია საჭიროა ახლა მაინც საქმედ იქცეს გადაწყვეტილება.

თეორიულად მომზადებულ სპეციალისტების შრომას მაშინ შეუძლიან სასურველი ნაყოფის გამოღება, თუ მას გამგონე და შესაფერი მუშა უდგია გვერდში. ამიტომ საჭიროა ახლავე გაიმეტოს მთავრობამ ჯერ მცირე რიცხვი შეგნებული ხელოსნებისა, მცირე თანხა მათ ადგილზე დადგომამდე სახარჯოთ. ცოტა ხნით მოუხდება ჩვენს მუშას იქ ყოფნა თავის დარგის გასაუმჯობესებლად თუ ისე მოგვიწყობს მთავრობა საქმეს, რომ დრო არ დაეკარგება და მაშინათვე ექნება საშუალება თავის დარგის ქარხანაში დადგომისა. ერთ წელიწადს რომ დარჩეს თუ აქვე ექნება ხელობა ნასწავლი, ჩინებულ სპეციალისტად დაბრუნდება.

ჩვენ ეს საქმე დღემდე უნდა მოგვეგვარებინა. ეხლა მაინც ნულარ ვაგვიანებთ. ზოგნი იმ აზრისანი არიან, რომ სჯობია ჩვენი მუშების გაგზავნას—იქიდან მოვიყვანოთ ხელმძღვანელიო, ეს აზრი მეტად შემცდარია და აი რატომ: არც ერთი პატიოსანი და კარგი ხელმძღვანელი არ დააგდებს ამ დუღილის დროს თავის სამაყო ქვეყანას და „აზიაში“ არ წამოვა და თუ წამოვა, მხოლოდ უვარგისი, ფულის მოგების სურვილით გაძღენთილი, რომელსაც თავის ქვეყანაც ფეხებზე ჰკიდია და მით უმეტეს, ჩვენი. და ესეც არ იყოს, რამდენი უნდა წამოიყვანოთ? გარდა ამისა ჩვენი მუშა იქ ხელობის გარდა სხვა რამესაც ისწავლის, რომელსაც უცხო ხელმძღვანელისაგან ვერ მიიღებს და რომელიც უფრო დიდ გავლენასაც მოახდენს ჩვენს მასსაზე. ზოგნი კიდევ ჩვენ გვიწუნებენ მომზადებას სიიქაოდ. რა თქმა უნდა უკეთესი იყო გვქონოდა სწავლაგანათლება და ისე წავსულიყავით, უფრო მეტს ვისარგებლებდით, მაგრამ თუმცა კლასიკური ცოდნა არა გვაქვს მუშებს, მაგრამ მაინც ჩვენ ვაბოგინებთ რკინის გზასაც, ტრამვაისაც, ელექტრონის სადგურებსაც და სხ. მიუხედავად იმისა ევროპის სამუშაო სისტემა არ გვინახავს და რო ვნახავთ უკეთ არ გავაკეთებთ? სჯობს ნულარ ვაგვიანებთ და ტეხნიკურად გაუმჯობესებულ მტერსაც უფრო ადვილად გავსცემთ პასუხს და ჩვენს მოვალეობას და მომავალსაც უფრო ადვილად და მალე დავინახავთ და შევიგნებთ.

**გიორგი კვიკვიძე.**

## ს. დ.-პარტიაში

**ლანჩხუთი.** მაისის 30 შეიკრიბა ქ. ლანჩხუთის წევრთა პარტიული ყრილობა. ყრილობას დაესწრო წევრთა უმრავლესობა. თავმჯდომარეთ არჩეულ იქნა არონ ჩხაიძე, მდივნათ მარკოზ ჩხაიძე. კოლ. მოქმედებას აცნობს კოლექტივის თავმჯდომარე ა. ჩ-ძე, რასაც კოლექტივი იღებს ცნობათ. დღის წესრიგშია რესპ. პარტ. ყრილობის დღის წესრიგის განხილვა და დელეგაციის არჩევა ყრილობისათვის; განხილულ იქნა: კოოპერატიული პოლიტიკა, მოსმენილ იქნა კოოპერაციის შესახებ პარტიული სხვადასხვა მიმდინარეობა-შეხედულებანი, აგრეთვე გაცნობილ იქნა გურიის კომიტეტის გადაწყვეტილება ამ საკითხის შესახებ.

ყრილობამ დაადგინა, კოოპერატიული დაწესებულებანი მოქმედებდენ ისე, როგორც დღეს დამოუკიდებლათ, ადგილობრივ თვითმართველობებთან შეთანხმებით.

აგრარული საკითხის შესახებ ყრილობა ადგენს: აგრარული კანონები იქმნეს შევსებულ და მისი გატარება დაჩქარდეს.

მუნიციპალური საკითხის შესახებ— გაფართოვებულ იქმნეს პროვინციის ქალაქების თვითმართველობების უფლებები ადგილობრივ კითხვებში.

პარტიული გამომცემლობის შესახებ —საჭიროა სხვადასხვა შინაარსის პარტიულ ბროშიურებისა.

ცენტრალურ კომიტეტში შედიოდეს, რაც შეიძლება ნაკლები რიცხვი მთავრობისაგან და როცა მათ ეხება საკითხი გადამწყვეტი ხმა არ ექნეს.

პარტიულ ყრილობაზე დელეგატათ ყრილობა ირჩევს კოლია წილოსანს. არონ ჩხაიძეს კანდიდატათ.

**ი. თ—ძე.**

---

**თფილისი.** 8 ივნისს საღამოს 6 საათ. ტრამვაის პარკში ს. ს. დ. ადგილობრივ მცირე კოლექტივის მიერ მოწვეულ იქნა ტრამვაის მუშა-მოსამსახურეთა საზოგადო კრება. თავმჯდომარეობდა ალ. ნაცვალიშვილი. კრების წესრიგში იდგა ერთი კითხვა: საქართველოს მიერ საბჭოთა რუსეთთან დადებული საზავო ხელშეკრულება. რადგან მოხსენების თემა საინტერესო იყო, კრებას მრავლად დაესწრო სხვათა შორის ადგილობრივი რუსობაც. მოხსენებას აკეთებს მოსკოვიდან ახლად ჩამოსული საქართველოს დელეგაციის წევრი ამხ. სალირაშვილი. მოხსენება ძლიერ საინტერესო გამოდგა, რაც გულდასმით იქნა მოსმენილი დამსწრეთაგან.

მოხსენების შემდეგ იყო მრავალი შეკითხვები, რაზედაც შესაფერი პასუხი გასცა მომხსენებელმა. ბოლოს კრებამ გამოიტანა შემდეგი რეზოლიუცია: „მოისმინა რა მოხსენება ამხ. სალირაშვილის მიერ საქართველოს და საბჭოთა რუსეთს შორის დადებულ ზავის შესახებ, კრება იწონებს მთავრობის და დამფუძნებელი კრების ნაბიჯებს, რომელთა დაკვირვებით და სწორი პოლიტიკით შეიკრა ზავი ორ მეზობელ მოძმე ხალხთა შორის, მშვიდობიანი ცხოვრების დასამკვიდრებლათ, ერთა თვითგამორკვევის პრინციპზე დამყარებული.

**პ. მეხუზლა.**

## პროვინცია

**ს. წრომი.** (გორის მაზრა) არ შემიძლიან არ აღვნიშნო საქვეყნოდ ამ სოფლის მდგომარეობა. რაც ომი გამოცხადდა, აქაური გვარდიელები ყველა ფრონტისაკენ გაეშურნენ, სოფელი დარჩა უპატრონოდ, რის გამოც ძლიერ გახშირდა ქურდობა, რამაც სოფელი ცუდ მდგომარეობაში ჩააყენა. ღამე არ გავა ისე, რომ რამდენიმე ოჯახი არ გაქურდონ და არ ააწიოკონ. ყაჩაღთა ბრბოები უმეტეს ნაწილად შესდგება ოსებისაგან. სარგებლობენ რა დღევანდელ შემთხვევით, დღისითაც კი არ იშლიან და სოფლად დათარეშობენ. სოფელს ვერაფერი ღონისძიება უხმარია, ვინაიდან თოფ-იარაღი არ მოეპოვება და მილიციაც ძალზე სუსტია, რის გამოც ყველა ამ სოფლის წევრნი იძულებული ხდებიან ძალაუნებურად დაემორჩილონ მათ. ჩემის აზრით, კარგი იქნება, თუ მთავრობა მიაქცევს ამ სოფელს ყურადღებას და დაურიგებს მათ თოფიარაღს და თუ ეს შეუძლებელი იქნება, მაშინ გამოგზავნოს საკმარისი ძალა ამ ბრბოების ასალაგმავად.

---

**მეჯვრის-ხევი** (გორის მაზრა). საავადმყოფოს საკითხი ყოველთვის იდგა და ეხლაც სდგას მწვავედ. მიუხედავათ იმისა, რომ ყოველგვარ საშუალებასა ვხმარობთ სასურველ ნიადაგზე მოწყობის ღირსნი ვერ გავხდით. სტიქიურმა მოვლენამ, მიწის ძრამ, დააზიანა მთელ სოფელში შენობები, დააზიანა ის ბინაც, სადაც მოთავსებული იყო წინეთ საავათმყოფო. გორის სამაზრო ერობამ გამოაგზავნა ექიმი, ორი ფერშალი, მოწყალების და, მოგვცა საწოლები ავათმყოფებისთვის, მაგრამ ბინის შოვნა კი საძნელო გაგვიხდა. მთელ მეჯვრისხევში გადარჩა მიწისძვრისაგან მხოლოდ ორი შენობა: შალვა ერისთავის და ეკატერინე ერისთავისა. პირველში მოთავსებულია ადგილობრივი სასწავლებელი, მიორეში კი, თანახმად ხმოსანთა ყრილობის დადგენილებისა, მოთავსებულ იქნა საავადმყოფო, მაგრამ სახლის პატრონმა ეკატერინე ზაქარიას ასულმა ერისთავისამ დიდი წინააღმდეგობა გაგვიწია. გაასაჩივრა გორის სამაზრო ერობაში, სამინისტროშიც კი და კიდევაც გაუმარჯვნია. ასე რომ, საავადმყოფოს დაცლა მოგვინდება და რადგანაც მეჯვრისხევში ბი სახლები სრულებით არ მოიპოვება, იგი გადატანილი იქნება სხვაგან, რითაც მეჯვრისხევი ჩავარდება ამ მხრივ უხერხულ მდგომარეობაში. სასურველია, რომ ამ გვარ მოვლენას მიექცეოდეს ჯეროვანი ყურადღება ვისგანაც ჯერ არს.

X.

---

**კინჩხის საზოგადოება** (სენაკის მაზ.). სწორეთ რომ იტყვიან ყოველის მხრით უბედურიო, ნამდვილათ ეს საზოგადოებაა. საერთო გაჭირვებას: ე. ი. აუტანელ სიძვირეს და შიმშილს თან დაერთო ერთი უდიდესი უბედურება. ეს არის ყაჩაღთა ბრბოების საშინლათ გამრავლება. კვირა არ გავა ისე, რომ საწყალს სოფლის მცხოვრებს, რომელმაც უკანასკნელი მარჩენალი ხარი ან ძროხა გაყიდა ბაზარზედ საზრდოს შესაძენათ, არ დახვდნენ გზაში და არ წაართვან ყველაფერი. გარდა ამისა, ხელი მიყვეს ოჯახების ძარცვას; რასაკვირველია ის, რომ სადაც კი მივლენ უკანასკნელი საცვალ თეთრეულსაც არ სტოვებენ, რამაც ხალხი დიდ საგონებელში ჩააგდო. მაგალითად, 14 ამა მაისს ღამით თავს დაესხა რვა შეიარაღებული ბოროტგამზრახველი დუდლვაბუნაში მცხოვრებს ელიზბარ ლაჭავას ოჯახს, და თუ რაიმე ებადათ ან ფულათ და ან ნივთებათ, არაფერი დაუტოვეს, უკანასკნელი ყველიც არ დაუტოვებიათ სამზარეულოში. ამასთან ეწევიან სასიმინდების და წისქვილების დამტვრევა-დაცლას. ერთი სიტყვით, ვაი მისი ბრალი, ვისაც რაიმე აქვს. მთელი საზოგადოების შეიარაღებული ძალა შესდგება 9 მილიციონერისგან, რომელიც მიუხედავათ ყოველგვარ ცდისა ვერ შველის გაჭირვებას.

კულტურულადაც ეს საზოგადოება ერთობ ჩამორჩენილია. არც პარტიული მუშაობა სწარმოებს. არიან კომუნისტები, რომლებიც თითო-ოროლა პირებთან ეწევიან პროპაგანდას, ვითომ დღეს თუ ხვალ საბჭოთა მთავრობა მოუწევს და პური და ფართალი თავსაყრელათ მოაქვს უფასოდო, მაგრამ ხალხს მათი არაფერი სჯერა.

**ჩხენიშელი კოწია.**

## წერ. რედაქციის მიმართ

ნება მიბოძეთ თქვენი გაზეთის საშუალებით ულრმესი მადლობა გამოუცხადო ყველა იმ პირთ, რომლებმაც მხურვალე მონაწილეობით ან რაიმე სხვა სახით ხელი შეუწყეს ამა წლის 18 აპრილს დ. ხაბუმეში (ზუგდ. მაზრა.) გამართულ წარმოდგენის მოწყობას და ღირსეულად ჩატარებას ადგილობრივ უმაღლეს დაწყებითი სასწავლებლის ბიბლიოთეკა-წიგნთსაცავის სასარგებლოთ.—

განსაკუთრებული მადლობის ღირსნი არიან: ვახ. კუპრაშვილი, ვ. შავგულიძე, გ. კირილოვი, კ. ქარჩავა, აკ. ღურწკაია, პ. თოდუას ასული, ბ. დადიანის ასული, თ. შენგელიას ასული, ი. გოგუა, გ. შენგელია, დ. ფაცაცია, ა. პერტახია, გრ. შენგელია, ნ. გახარიას ასული, გ. დადიანის ასული და ვ. შენგელიას ასული.

წმინდა შემოსავალი 5657 მან. ჩავიბარე დანიშნულებისამებრ.

ხაბუმის უმაღლეს დაწყებითი სასწავლებლის გამგე **ს. გახარია.**

---

ნება გვიბოძეთ თქვენი გაზეთის საშუალებით ულრმესი მადლობა გამოვუცხადოთ იმ პირთ, რომელთაც აქტიური მონაწილეობა მიიღეს საღამოს მოწყობაში, გამართულ 28 დეკემბერს, მე-6 გიმნაზიის მე 6 და მე 7-დე კლასის მოწაფეების მიერ გორის დაზარალებულთა სასარგებლოდ. საღამოს სრული შემოსავალი იყო 22,788 მან., გასავალი 15,764 მან. წმინდა შემოსავალი დარჩა 7,024 მან. რომელიც უკვე გადაეცა ივ. გომართელს.

საღამოს მომწყობი **კომისია.**

---

გაზ. „კლდის“ № 24 მოთავსებულია წერილი სათაურით „ბორჩალოს მაზრის რევიზიისთვის“. წერილს ხელს აწერს ვინმე კ. ს. ამ წერილში ერობის მოღვაწეებთან ერთად მეც ვარ ნახსენები, როგორც ათასგვარ ბოროტების ჩამდენი ბორჩალოს მაზრაში.

მე კარგად მესმის, რომ ეს წერილი და მისი ავტორი ბ-ნი კ. ს. გაგრძელებაა შარშანდელი ჩემს წინააღმდეგ გამართულ ჩვეულებრივ საზიზღარ კომპანიისა „კლდის“ სახელოვან მესვეურების ბ. ბ. კ. სიმონიშვილ-კიკაბიძეების მხრით.

ასეთივე საზიზღარ კომპანიის სუნი უდის გაზ. „გრუზიის“ № 60-ში მოთავსებულ ქრონიკას ბორჩალოს მაზრის ერობის გამგეობის წევრებისა და მათთან ერთად ჩემი სამართალში მიცემის შესახებ ბ. კ. სიმონიშვილის მიერ ჩვენი კანონების თითქმის ყველა მუხლების ძალით.

მე კიდევ შარშან უნდა მიმეცა სამართალში ეს ცილისმწამებელი ვაჟბატონები და მეჩვენებია მათთვის შესაფერი ადგილი, მარა ბ. ლ. კიკაბიძის საზღვარ გარეთ წასვლის გამო დროებით თავი გავანებე ამ განზრახვას, რადგან მე უფრო მაინტერესებდა ბ. კიკაბიძის სპეტაკ ზნეობის გამომზეურება, თორემ ბ. კ. სიმონიშვილს ისედაც ყველა კარგათ იცნობს.

ამ გარემოებას გაუთამამებია „კლდის“ რედაქცია და ბ. კ. ს., დღესაც ასე თამამად სვრიან ტალახში ჩემს სახელს და არც ფიქრობენ, რომ ამაზედ პასუხი უნდა აგონ.

მე მოვითხოვ გაზ. „კლდის“ რედაქციისაგან, რომ მან დამისახელოს ახალი გმირის ბ. კ. ს.-ს ნამდვილი ვინაობა და მით საშუალება მომცეს მისი სამართალში მისაცემად, წინააღმდეგ შემთხვევაში მე იძულებული ვიქნები თითონ „კლდის“ რედაქცია მივცე სამართალში.

მიწად-მოქმედების მინისტრის რწმუნებული ბორჩალოს მაზრაში

**რ. რამიშვილი.**


## განცხადებანი

**იყიდება საპერავი მანქანა-შკაფი**
ზინგერის სისტემისა.
პეტრედიდის ქუჩა № 18 მეორე სართული, ბინა № 6.

---

**იყიდება სასადილო**
თავის მოწყობილობით, იკითხეთ ბელინსკის ქ. № 9, ვასო **გიძინაშვილთან.**
(1957 1—1)

---

**დავკარგე**
„ზაჩოტების“ წიგნაკი ამიერ-კავკასიის კერძო უნივერსიტეტიდან მოცემული ვერა იოსების ასულის გაბელოვის სახელზე. ვაცხადებ გაუქმებულათ.
(1947 1—1)

---

ქ. ბათუმში **დავკარგე**
10 მაისს პასპორტი გამოცემული ადერბეიჯანის რესპუბლიკისაგან № 1215 აგრეთვე სხვადასხვა დოკუმენტები. ხსენებული №-ის პასპორტი ითვლება გამოუსადეგარად—ვალოდია ხუნდაძე.
(1965—1—1)

---

ექიმი **ზ. უ. ალასოვი**
სპეციალურად ქირურგიულ ავადმყოფობას, მიღება დღისით; 2—3 საათ., საღამოს 5—7 ს. ელისაბედის ქ. № 112, (ქსენიევის ქ. ახლო) ტელ. № 2.
1951—თ.

---

ექიმი **მ. ა. შაფრანი**
სპეციალურად სიფილისი და მისი შედეგები (შეშხაპუნება „606“ და „914“) ვენერიული (ტრიპერი) და საშარდე ორგანოების სნეულებანი. ავადმყოფების მიღება ყოველ დღე დილის 8—11 და საღამოს 5—8 საათამდე. ქალების 4—5 ს კვირაობით მხოლოდ დილით. მისამათი ოლღას ქ. № 33. (1288 25—4)

---

ექიმი
**ბ. ი. ოქროპირიძე**
იღებს შინაგან სნეულებით ავადმყოფებს საღამოს 4—6 საათამდის. რტიშჩევის ქ. № 22, სოლოლაკი)

---

ექიმი
გენრიხ ისაიას ძე **ვოლოხი**
ღებულობს ყურის, ცხვირის და ყელის სნეულებიან ავადმყოფებს [illegible] ს., საღ. 4—7 ს. პლეხანოვის პრ. № 76 (მიხეილის), ტელეფონი 7—38.
(1741—თ.)

---

ექიმი **ივ. გოკერია**
პლეხანოვის (მიხეილის) პროსპ. № 141; სამხედრო სასწავლებლის პირდაპირ. ქირურგ., ქალის სნეულებანი და საკეშერო. 1—2 ს. და 5—6 საათამდე. ტელეფონი 5—97. (1835—თ.)

---

დოქტორი
**გ. გ. მეგრაბიანცი**
შინაგანი ავადმყოფობა—ჭლექი და გულისა. იღებს ახალს რენტგენ-ელექტრო კაბინეთში. გამოკვლევა და წამლობა სხივებით. ბებუთოვის ქ. № 23, ტელეფ. 7—92, მიღება ყოველ დღე 9—12 ს. და საღამოს 6—8 საათამდე.
(1790—თ.)

---

ექიმი **ა. დ. კეკელია**
სპეციალურად: სიფილისი (შეშხაპუნება „606“ და „914“) ვენერიული და კანის სნეულებანი. ავათმყოფების მიღება: ყოველ დღე დილის 9—11 ს. და საღ. 4—6 ს. მისამართი: მიხეილის პრ. № 116, სასტუმრო „ნოე“ პირდაპირ. ტელეფონი 14—28. 1838 -თ.

---

ექიმი
**დ. ვ. ჯავახიშვილი**
იღებს შინაგან და ბავშვთა სნეულებიან ავადმყოფთ ყოველ დღე დილ. 8—9 ს. დილის და საღამოს 4—6 ს—დის მისამართი: მიხეილის პროსპექტი № 64 (საავადმყოფოს ახლო). ტელეფონი 14—60. (1808—თ.)

---

ექიმი
**ნ. ა. არუთინოვი**
სპეციალურათ სიფილისი (606 და 914) ვენერიული ტრიპერი, შარდის ორგანოების ოპერაცია ნდისკოპია (საშარდე მილის). მიხეილის პრ. № 80, ბინა 3. მიღება დილით 9—12 ს. საღ. 4 ნახ. 6 ნახ. საათამდე. (1555—თ.)

---

ექიმი
**ნ. ღ. ტურიაშვილი**
იღებს ქალურ, საბებიო და შინაგან სნეულებით ავათმყოფებს ყოველ დღე პარასკევს გარდა შუადღის 1—2 და საღ, 4—5 ჩერქეზოვის ქუჩა № 22 ყოფილი სასულიერო სასწავლებელი. ტელეფონი 14—13. (1773—თ.)

---

ექიმი
**ა. ლევენშტეინი**
შინაგანი და ნერვით სნეულებიანი რენტგენის და ელექტრო სამკურნალო კაბინეტი. მიღება დილის 11—12 ს. და საღამოს 4—7 ს. კრილოვის ქ. № 5, ბინა 3, ტელეფონი 12—46. (1518—თ.)

---

ექიმი
**ნიკოლოზ მახვილაძე**
იღებს განსაკუთრებით შინაგან სნეულებით ავათმყოფთ ყოველ დღე, საღამოს 4—6 საათამდე. მისამართი: მოსკოვის ქ. № 11, ზემელის აფთიაქის მახლობლად. (1255 48—6)

---

ექიმი
**პ. გ. ვართანოვი**
სპეციალურად კანისა და ვენერიულ სნეულება (სიფილისი „606“ და „914“ შეშხაპუნება). მიიღება: დილით 8—9 საათ. საღ. 5—7 საათ. სურამის ქ. № 9, ვაგზლის ქუჩის კუთხე, რკინის გზის სამმართველოს პირდაპირ. (1700—თ.)

---

ექიმი **მ. გოლშტეინი**
თვალით ავათმყოფი (სათვაალეების გამორჩევა) დილის 9—12 ს. 4—7 საათ. საღ. ნიკოლოზის ქ. № 32. (1587 თ.)

---

ექიმი
სოლომონ ისაიას ძე **ვოლოხი**
იღებს ქალისა და შინაგან სნეულებიან ავადმყოფებს დილით 12—2 ს. საღ. 5—7 ს. ბელგიის ქ. № 5. (1742—თ.)

---

ექიმი
**ე. გ. მძინარიშვილი**
სპეციალურად: სიფილისი (შეშხაპუნება „606“ და „914“) ვენერიული და კანის სნეულებანი: მიღება ყოველ დღე 8—1 ს. და 4—7 ს. საკუთარ სამკურნალოში. მისამართი: კუთხე პლეხანოვის (მიხეილის) პროსპექტის და კიროჩნი ქუჩ. № 22 ტელ. 10—87. (1638 თ.)

---

ექიმი
**ნ. მ. ბარძიმლაძე**
(შინაგან და ბავშვთა სნეულებათა) ავადმყოფებს იღებს დილის 8—10, საღამოს 4—7 ს. გრიბოედოვის ქ. № 4.
(უ. 25—3)

---

სექტემბრისათვის ამზადებენ გამოცდილი **მასწავლებელნი.**
მოზრდილთა: 4, 5, 6 კლასში შესასვლელად ყველა სასწავლებელში. ქალებს—საბებიო ინსტიტუტში, აფთიაქის შეგირდათ და მოწაფეებს „პერეეკზამენოვკებზე“ მათემატიკაში, ენებში და სხვა საგნებში. აგრეთვე ბავშვებს 1, 2 კლასისათვის. მისამართი: პლეხანოვის ქ., № 25, შესავალი ალექსის ქუჩ., № 5. ჩაწერვა 9—11 ს. და 4—6 ს. მაჩაიძის ბინაზე. აქვე იყვანენ 1 მოწაფეს „პანსიონით“.
(1949—2—1)

---

15 ივნის, საღამოს 5 ს. სახლიდან წავიდა 9 წლის ყმაწვილი
**ქორქიკა სანასარიანცი**
რომელსაც შუბლზე აქვს ახალი ჭრილობა. თუ ვინმემ რამე იცის ან გაიგოს ქორქიკასი, გთხოვთ გვაცნობოთ შემდეგი ადრესით: ბებუთოვის ქ., № 64. რისთვისაც მიიღებს კარგს საჩუქარს.
(1946—1—1) პატივისცემით ნერსეს სანასარიანცი.


[illegible] სტამბა, [illegible] ქუჩა № 4.